საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი, 3 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 148 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 148

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

დღეს, ივლისის 3-ს, საღამოს 6 საათზე
**ნოე ჩხიკვაძის**
გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი.

გულდამწვარი მშობლები მიხეილ და ანნა გვენცაძენი, ძმა ნიკა გვენცაძე აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ორშაბათს, 5 ივლისს კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის მათი დაუვიწყარი
**ნინა გვენცაძის**
სულის მოსახსენებლად. (2145 2—1)

გულდათუთქული მეუღლე სიმონ რომანის ძე ელიავა შვილით ვლადიმერითურთ, თავზარდაცემულნი დედ-მამა სოფრომ კონსტანტინეს ძე და თებრონე მოსეს ასული ხორავეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მძიმე და ხანგრ. ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
**ელენე სოფრომის ასული ელიავა**
26 ივნისს დ. წაღვერში. განსვენებული თფილისში მოასვენეს 29 ივნისს დილით 7 ს. პანაშვიდები ყოველ დღე ბინაზე ანდრეევის ქ. № 76 საღ. 5 ს. განსვენებულის გამოსვენება მოხდება კვირას, ივლისის 4, დილის 10 საათზე მის უწმინდესობის კათოლიკოზ პატრიარქის ლეონიდის მიერ სადაც მისგან იქნება დიდუბის ტაძარში შესრულებული წირვა და ანდერძი და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. (2130 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი: გიორგი, კაკო, მარია, ელენა და კატუშა მარრი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველი შვილის, ხოლო დანარჩენნი მათთვის უსაყვარლესი და უძვირფასესი ძმის
**თეოდორე (ფედია) გიორგის ძე მარრის**
უდროოდ დაღუპვას დონის როსტოვში. ტირილის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2146 1—1)

ღრმათ დამწუხრებული დედა ივლიტე ებრალიძისა, ქმარი დავითი მიხეილის ძე მახარაძე, დები აკვირინე ცინცაძისა შვილებითურთ, ლენე ებრალიძის ნინო ჩიხლაძის შვილით, ძმები: ლუკა, ნესტორ და დიმიტრი, რძლები მარიამ, ანეტა და ლენა ებრალიძეები შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ორმოცი დღის წირვას და პანაშვიდს სულის მოსახსენებლათ უდროვოთ გარდაცვალებული მათთვის დაუვიწყარ და საყვარელ
**თეო ებრალიძის ასულის მახარაძისა**
რომელიც იქნება დიდუბის ეკლესიაში დღით შაბათს 3 ივლისს დილით 11 საათზე. (2152 1—1)

ექიმი ნიკოლოზ გიორგის ძე გეგეჭკორი და მეუღლე მისი კატუშა ულრმეს მადლობას მოახსენებენ ყველა იმათ, რომელთაც უსაყვარლესის და დაუვიწყარი პაწაწა ვაჟის
**გივის**
ნორჩი სიცოცხლის ჩაფერფლვის გამო ულმობელ მეხივით თავს დატეხილი მწუხარება და გლოვა პირადის დასწრებით, დეპეშით თუ წერილით გაინაწილეს. (3150 1—1)

თავზარდაცემული მეუღლე ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, დაობლებული შვილები გიორგი და მაშიკო და და, რძალი და ძმები: ოლია, მარუსია, ვანო, დათიკო, სიმონ და ალექსანდრე გიორგის ძენი კაპანაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 1 ივლისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ წყნარათ მიესვენა დაუვიწყარი მათი
**ივლიტა გიორგის ასული გაჩეჩილაძისა**
გამოსვენება დ. წაღვერიდან მოხდება 2 ივლისს დღის 12 საათზე და დაიკრძალება საჩხერის წმ. ნინოს ეკ. გალავანში. (2154-1-1)

თავზარ დაცემულნი და სამუდამოთ მწუხარებაში მყოფნი მამა იასონი, ბებია მარინე, და ელენა, ძმა სანდრო, ბიძა კაპიტო, ბიცოლა ანასტასი კალანდაძეები შვილებით; და, სიძე, დაი ლუბა, და ფედოსი იასონის ასული ლორიეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ, ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ მათ დაჰკარგეს მათთვის ძვირფასი და საყვარელი, ყოფილი ცენტრალურ კოოპერატივის მოსამსახურე
**სიპიტო (სილიბისტრო) იასონის ძე კალანდაძე.**
დასაფლავება მოხდება დღეს, 3 ივლისს, სოფელ პაიჭეულში დღის 2 საათზე. (2151—1—1)

## მუშტაიდის დემოკრატიული კლუბი
**შაბათს, ივლისის 3-ს**
მგოსან **ნ. ჩხიკვაძის**
**გარდაცვალების 40 დღის თავის აღსანიშნავად გაიმართება**
## = სალიტერატურო საღამო =

I

**კავსაძის გუნდი** შეასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

II

**ი. გომართელი** წაიკითხავს მოხსენებას ნ. ჩხიკვაძის შემოქმედების შესახებ.

III

**ნ. ჩხიკვაძის** დაუბეჭდავ ლექსებს წაიკითხავენ: **ი. ზარდალიშვილი, მ. ქიაურელი, შ. შარაშიძე.**

IV

საკუთარ ნაწარმოებთ წაიკითხავენ: **ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, ობოლი მუშა ხ. ვარდოშვილი** და სხვ.

V

დასასრულ კავსაძის გუნდი შეასრულებს ქართულ სიმღერებს.
წმინდა შემოსავალი გადაეცემა ნ. ჩხიკვაძის ობლებს.
ბილეთები იყიდება კლუბის თეატრის კასაში.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

## „ეშმაკის მათრახი" № 32
გამოვა დღეს. ჟურნალში მოთავსებულია: ქიური—ეშმაკისა, ლექსები—შექანჯალებულისა, პატარა ფელეტონი—მორიელისა, აჭარისტანი—გრ. სლუჩონისა, გურული სცენა—ჯიბილასი, თხოვნა—ბუტუნასი, ფლავი—ბომბოთელისა და სხვ. **კარიკატურები:** ბათომის კლიტე, მცირე დარიგება ჩვენი ახალი „სტუმრებისათვის", [illegible]

[illegible]

## საზოგადო კრება
[illegible] **გამგეობა.** (2149—1—1)

[illegible]

## საზოგადო კრება
[illegible] **გამგეობა.** (2153—1—1)

## [illegible] სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საერთო კრება.
[illegible] (2125—3—2)

## შ. ს. მუშათა მაზიდის განცხადება.
[illegible] (Б.—5—5)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი
## კომერციული ბიულეტენი
ქალაქთა კავშირის საწყობში მიღებულია და იძლევიან შემდეგ საქონელს:
ფანჯრის შუშები პატარა ზომისა—1—75 კ. კვად. ვერშოკი.
(ყუთებით) დიდები—2 მ. 25 კ. კვად. ვერშ.
რეზინის კალოშები რუსული ტიპისა მაგარი ქუსლებით.
ალიომონოვის ქურქლები.
ინგლისური საღებავები.
ჩოთქები (კისტები).
წებო.
მანუფაქტურა.
საკუთარ ქარხანაში დამზადებული მებელი.
საბეჭდავ მანქანების მწვანე ქაღალდი.
ბოქლომები.
საქონლის მიღებისათვის მიმართეთ საკომერციო განყოფილებას, გოგოლის ქუჩა, № 51. ტელეფონი 11—54.
ნაწილობრივათ ყიდვა შეიძლება სომხის ბაზარი—73. ტელეფონი 18—20. (ნ. 2—2)

ექიმი
**ნიკოლოზ** სიმ.-ძე **ხერხეული**
იღებს სნებით, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.
2048—თ.

## ჩვენი მიზნები ბათომ-აჭარაში
ჩვენი ჯარები უკვე ქობულეთში შევიდენ. დღეს-ხვალ ისინი დაიჭერენ ქ. ბათომს და ბათომის მთელს ოლქს. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინაშე დგება ახალი, მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა: ბათომის ოლქის მოწყობა, მისი გაწმენდა ანარქიულ ელემენტებისაგან, მისი მცხოვრებლების განთავისუფლება იმ ყაჩაღურ და იმპერიალისტურ ბრბოებისაგან, რომლებიც განუკითხავათ თარეშობენ აჭარაში, სიცოცხლეს უმწარებენ მშვიდობიან ცხოვრების მონატრულ მოსახლეობას და ძალით ახვევენ მას ისეთს წესებს, რომლებიც არ შეეფერება არც მისს პოლიტიკურ მისწრაფებებს, არც მისს ეროვნულ-კულტურულ ტრადიციებს.

ეს მისწრაფებები და ეს ტრადიციები ამ ორი წლის განმავლობაში არა-ერთხელ გამომჟღავნებულა. თავისი სურვილი აჭარის მაჰმადიანმა ქართველობამ გამოსთქვა წარსული წლის აგვისტოში, სრულიად თავისუფლად, საჯარო მიტინგებზე. ქართველ მაჰმადიანთა პოლიტიკური ლტოლვილება მეორეთ გამოამჟღავნა წარსულ წლის შემოდგომაზე ბათომში შეკრებილმა აჭარის მცხოვრებთა მიერ არჩეულმა მეჯლისმა. ორჯელვე აჭარის მოსახლეობამ „ღვთისა და ქვეყნის წინაშე" განაცხადა, რომ მას სურს საქართველოსთან გაერთიანება, რომ იგი გრძნობს თავს ქართველი ერის ნაწილად. კიდევ უფრო მკაფიოდ გამოითქვა ქართველ-მაჰმადიანთა პოლიტიკური მისწრაფება ქ. ბათომის თვითმართველობის უკანასკნელს არჩევნებზე,—რომელზედაც ხმოსანთა სამი მეოთხედი საქართველოსთან გაერთიანების მომხრე გამოდგა.

რუსული „კომუნისტი" ქვეყანას არწმუნებს, ვითომც ბათომის და აჭარის დაბრუნება საქართველოს წიაღში რუსეთის საქმე ყოფილიყოს: „ბათომის ოლქი საქართველოს გადასცა რუსეთის პროლეტარიატმა": ამნაირათ შეიძლება ილაპარაკოს მხოლოდ რუსულ იმპერიალისტურად აღზრდილმა პოლიტიკოსმა, რომლის თვალშიაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვიდაცა „ტუზემცების", ადგილობრივ მცხოვრებლების მისწრაფებას და რომლის წარმოდგენითაც მხოლოდ რუსეთია საცოდავ კავკასიელების ბედნიერების წყარო. ასე ფიქრობდა ნიკოლოზის ბიუროკრატია; ასე ფიქრობენ დღესაც ლენინის სამსახურში შესული ნიკოლოზის ყოფილი ბიუროკრატები.

ჩვენ კი გვგონია, რომ პირველი ხმა ბათომ-აჭარის საქართველოსთან გაერთიანების საქმეში ეკუთვნის თვით აჭარის მოსახლეობას, აჭარის დემოკრატიას, რომელმაც ორი წლის გამწარებული ბრძოლით მიაღწია თავის სანუკვარ მიზანს. ბათომ-აჭარის დაბრუნება საქართველოს წიაღში, თვით აჭარელთა შემდეგ, უნდა ჩაითვალოს, ნურას უკაცრავად ბ.ბ. კომუნისტებთან, საქართველოს დემოკრატიის დამსახურებათ: დიახ, ქართველმა დემოკრატიამ შექმნა თავის ქვეყანაში ისეთი წესები, რომელიც არ შეუქმნია არც ერთს ახლად დაარსებულს სახელმწიფოს. ქართველმა დემოკრატიამ იხსნა საქართველო იმ საშინელ ანარქიისაგან, რომლითაც კომუნისტებმა გაათხრეს და დაღუპვის გზაზე დააყენეს რუსეთი. და როდესაც აჭარის მოსახლეობას თვალწინ უდგია არჩევანი: ბარბაროსული ოსმალეთი, დენიკინვრანგელის რუსეთის კონტრ-რევოლიუცია, საბჭოთა რუსეთის გამანადგურებელი და გამათახსირებელი ანარქია, თუ საქართველოს დემოკრატიული წესიერებაო,—მისთვის ძნელი არ არის ამ არჩევანში გაერკვიოს და ამ ოთხ ძალაში საქართველო აირჩიოს. აი ამაში მდგომარეობს ჩვენი დემოკრატიის ბრწყინვალე **გამარჯვება,** რომელსაც ვერ ურიგდება რუსეთის კომუნისტ-იმპერიალისტური გაზეთი.

რუსული „კომუნისტი" ჰქუას ასწავლის საქართველოს დემოკრატიას: დაპყრობითი მიზნით ნუ შეხვალთ ბათომშიო. ეჭვის აღმძვრელია აჭარის მოსახლეობის მიმართ ასეთი მოულოდნელი „მზრუნველობა" იმ კომუნისტების მხრით, რომლებმაც აჭარაში პაიჭაძის რაზმების ტერორი გაამეფეს და რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ქემალ-ფაშასთან და დენიკინელ ოფიცრებთან ერთად შეთქმულობას აწყობდენ აჭარის გასანაწილებლათ რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ნუ სწუხდებით, ბატონებო! საქართველოს დემოკრატია არსად შესულა დაპყრობითი მიზნით და მით უმეტეს არ შევა ამ მიზნით აჭარაში. საქართველოს დემოკრატია კომუნისტებს არ წაბაძავს და არ იმოქმედებს ისე, როგორც მათ იმოქმედეს ბედკრულ ადერბეიჯანში, რომელმაც ასე სტუმართ-მოყვარეობით გაუღო კარი „წითელ ჯარებს" და რომელიც, მიუხედავად ამისა, გაატიალეს და გააპარტახეს კომუნისტების პოლიტიკოსებმა. ქართველი დემოკრატია აჭარაში შედის **ასაშენებლად და არა დასანგრევად.** მტკიცე პოლიტიკის წარმოება, რა თქმა უნდა, დაგვჭირდება. უეჭველია დაგვჭირდება სასტიკი ზომების მიღებაც, მაგრამ ეს სასტიკი ზომები მიმართული იქნება იმათ წინააღმდეგ, ვინც აჭარის მოსახლეობას ავიწროებს და ვინც ეს ორი წელიწადია სიცოცხლეს უმწარებს მას: სასტიკი ზომები მიმართული იქნება პაიჭაძეების კომუნისტ-ყაჩაღების და მათ მოკავშირე ქემალ-ფაშის აგენტების წინააღმდეგ, აჭარის ხალხის საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ.

## პრესა
რუსულმა „კომუნისტმა" თავის ქართულ მოძმის ხელობას მიჰყო ხელი და ცდილობს საქართველოს საზღვრებშიაც დაანთოს ეროვნული შუღლის ცეცხლი, რომლის დანთებაშიაც კომუნისტებმა ასეთი ხერხიანობა გამოიჩინეს ადერბეიჯანში. იგი ფაქტის აღუნიშნავად ინსინუაციას ავრცელებს, ვითომც ამხ. აითოლლოს რაღაცა ჩაედინოს ბათომის მუშებში, და ასე ათავებს წერილს:

„ამნაირ მეთოდით და ამნაირ ხერხებით ვერ მოიპოვებთ ადგილობრივ მცხოვრებთა ნდობას და სიმპატიას. რას მიახწიეს მენშევიკებმა ორი წლის ბატონობით სოხუმის ოლქში? მარტო იმას, რომ ქართველ და აფხაზ მოსახლეობის შუა გაითხარა უფსკრული, რომელზედაც დღეს ძალიან ძნელია ხიდის გადება".

მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. კომუნისტებს სურთ, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლი იყოს და მას ეჩვენება, რომ ამ შუღლს მართლაც აქვს ადგილი. საბედნიეროთ, აფხაზებს იმდენი პოლიტიკური სიფხიზლე გააჩნიათ, რომ არ აჰყვებიან კომუნისტების აღვირწახსნილ დემაგოგიას და ქართველ ხალხსა და მათ შორის არ დაირღვევა ძმური კავშირი.

## ვინ-ბანის „შრაპნელი"
დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ველირსეთ ცოტად თუ ბევრად გასაგებ პასუხს იმ კითხვაზედ, რომლითაც ჩვენ მივმართეთ „კომუნისტის" თანამშრომელს. ეს წინასწარი პასუხი საჭირო იყო სერიოზული კამათისთვის ინტერნაციონალზედ. ჩვენს შეკითხვაზედ: „როგორი იქნება ისეთი ინტერნაციონალი, სადაც არ შევა მთელი შეკავშირებული მუშათა კლასი? მოქალაქე ვინ-ბანი შემდეგ პასუხს იძლევა:

1) „სოციალისტურად შეკავშირებული ინგლისის მუშათა კლასი „ბრიტანიის სოციალისტური პარტიის" სახით უკვე შევიდა მესამე ინტერნაციონალში". ჩვენი პასუხი. ბრიტანიის სოციალისტურ პარტიას იმდენი მნიშვნელობა აქვს ინგლისში (თუ არ ნაკლები), რამდენიც აქვს გერმანიის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ორი დეპუტატი ძლივს გაიყვანა პარლამენტში. ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ საერთო მსჯელობის დროს ინტერნაციონალზედ, ასეთ ჯგუფებს მხედველობაში ვერ მივიღებთ.

2) „ინგლისში დღეს ერთი მთლიანი ტრედ-იუნისტური კავშირი ფაქტიურად არ არსებობს" ისვრის ვინ-ბანი მეორე „შრაპნელს" და გვირჩევს დავიხსომოთ ეს. ჩვენი პასუხი. **სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს** მისი დებულება. **არას დროს არ ყოფილან ინგლისის ტრედ-იუნიონები ისე შეკავშირებულნი,** როგორც დღეს არიან. იქ არსებობს ძლიერი ეგრედ წოდებული „სამთა კავშირი". ეს არის რკინის გზელების, მაღაროს მუშების და ტრანსპორტში მომუშავეების შეერთებული საბჭო. უკანასკნელ თვეებში ტრედ-იუნიონები საერთო პოლიტიკური ბრძოლისთვის შეთანხმდენ უძლიერეს ინგლისის კოოპერატიულ ორგანიზაციასთან. ეს შეერთებული ორგანიზაცია აერთებს დღეს **რვა მილიონამდე** მუშებს. ერთადერთი დანაშაული „კომუნისტის" წინაშე ამ მუშების ის არის, რომ მას არ სურს მოსკოვის ინტერნაციონალში შესვლა. ხოლო რაც შეეხება „ბრიტანეთის სოციალისტურ პარტიას", ის აერთებს **ათი-ათასამდე** მუშებს. მაგრამ ნუ თუ ეს გამოადგება საბუთად ბან—ვინს სთქვას, რომ „ინგლისში ერთი მთლიანი ტრედიუნისტების კავშირი ფაქტიურად არ არსებობსო". თუ ასეა, ჩვენ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კამათის დროს თქვენ მართლაც ქვიშით გატენილ „შრაპნელს" ისვრით.

3) ვინ-ბანი ამბობს: „რომ ერთი წუთით დაუშვათ, რომ ინგლისის ტრედ-იუნიონები არც შემოვიდენ სულაც ინტერნაციონალში... მინდა გავიგო, რის შემდეგ სოციალისტური პარტიები თავისი სოციალისტური მოქმედებებში სახელმძღვანელო გზათ ინგლისის ტრედ-იუნიონების გზას ასახლებდენ?" აშკარაა, ვინ-ბანი სულაც არ დარდობს იმაზედ, თუ სად იქნება ინგლისის შეკავშირებული მუშები. ტყუილად მიაპყრო მან თავისი თვალები ინგლისისკენ. მას უფრო ეინტერესება რეშტის „პროლეტარიატის" სულის-კვეთება. ჩვენს „მებრძოლზედ" ზედგამოჭრილია თქმულექა: „ალიას დარდი—ფლავიაო". ჩვენ კი სულ სხვა აზრის ვართ ალიაზედაც და ჯონ-ბულზედ.

1 იანვარს 1870 წელს კარლ მარქსი გენერალურ საბჭოს პირით ამბობდა: „მხოლოდ ინგლისი შეიძლება გახდეს ღერძად სერიოზული ეკონომიური რევოლიუციის... ეს ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც (მაშინაც კი. ბ. თ.) კლასობრივმა ბრძოლამ და მუშების ორგანიზაციამ მიაღწია ერთნაირ დონეს სიმწიფისას და ერთსულოვანობას." (Писма Маркса къ Кугельману გვ. 69). ასეთი აზრის იყო კარლ მარქსი ინგლისის ტრედ-იუნიონებზედ ორმოცდა ათი წლის წინათ. ნუ თუ გაბედავს და იტყვის ვინ—ბანი თუმც (ის მეტად ახოვანი და გამბედავი შანხაელი ბოქსერია!), რომ ამ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ ინგლისის ტრედ-უნიონების პოლიტიკური სიმწიფე? თქვენ კითხვითი ნიშნების კორიანტელი დააყენეთ (ბრძოლის ველზე!!) იმაზე, თუ რატომ ვიხმარე მე ტერმინი „ეკონომიური რევოლიუცია". გეგონათ, რომ ის თეკლათელმა მოიგონა თავისი „გაუბედაობის" გამო. როგორც ხედავთ, ეს ტერმინიც და მთელი დებულებები ინგლისის შესახებ ეკუთვნის კარლ მარქსს. ნურას უკაცრავად, თუ ბრძოლის დროს ვხმარობ არა ვინ—ბანის ქვიშით გატენილ „შრაპნელს", არამედ მივმართავ მარქსის დაფასებას და მის აზრებს.

4) ვინ-ბანი გვეკითხება: რატომ ჩაუარეთ გვერდი და ჩემი გაუგებრობა არ გააქარწყლეთ „მუშათა კლასის წინ დღის წეს-რიგში დგანა ძალა-უფლების საკითხი, და „არას დროს არ ვყოფილვართ ჩვენ ისე შორს სოციალიზმიდან, როგორც ახლა", რატომ ამაზედ არაფერს ამბობთ, ბ-ნო თეკლათელო, რატომ?!" ძლიერ აჩქარებული კაცი ყოფილხართ, მოქალაქე ვინ-ბანო! ჰკითხეთ თქვენს ტაქტიკას და ის გეტყვით, რომ „ბრძოლის დროს" აჩქარება არვარგა. ხომ იცით რუსული ანდაზა: Поспѣшишь, людей насмѣшишь!.. ჩვენთვის აშკარაა, რომ მოწინავე ქვეყნების (მოწინავე ქვეყნების, ვინ-ბანო!) მუშების წინ პრაქტიკულად სდგას საკითხი ძალა უფლების ხელში ასაღებად. რომ ეს მომხდარიყო ომამდის, როდესაც საწარმოო ძალები საკმარისად განვითარებულნი იყვნენ, ერთი წლის განმავლობაში მუშათა მთავრობები მეტს გააკეთებდენ, ვიდრე დღევანდელ პირობებში გააკეთებენ ოცი წლის განმავლობაში. ამ მხრივ საერთაშორისო ომმა სოციალიზმის განხორციელების საქმე მეტად დასწია უკან. ეს ჭეშმარიტება დასწერა ს. დევდარიანმა,

# დღეს

**ფრანგულ ცნობის თანახმათ სენატმა 263 ხმით 23 წინააღმდეგ ავსტრიასთან დადებულ ხელშეკრულობის რატიფიკაცია მოახდინა.**

გენერალური შტაბის ცნობები.
2 ივლისი.

**ქობულეთში ჩვენ ჯართან მიდიან ადგილობრივ მცხოვრებთა დელეგაციები და უცხადებენ საქართველოს მეგობრობას.**

**ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

ლენინი ამაზედ უფრო პესიმისტურ აზრებს ქადაგებს უკანასკნელ დროს. მის აზრებს ჩქარა გავაცნობთ მკითხველებს. მაგრამ არც მე და არც სეითი ვერ გავიზიარებთ სავსებით ლენინის ცნობილ დებულებას: ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი შვილის-შვილები მოესწრობოდნენ სოციალიზმსო. ასეთი პესიმისტი ჩვენ არ გახლავართ.

ამით ვათავებ ფორმალურ კამათს ვინ-ბანთან. ხოლო რაც შეეხება ინტერნაციონალში არსებულ მიმდინარეობებს, რომელიც სამი კი არ არის, არამედ მეტია, ამაზედ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს.

ბ. თეკლათელი.

## მივხედოთ ქართველებს ადერბეიჯანში

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლობა ადერბეიჯანში ვერ არის ამ ჟამად რიგზე დაყენებული. და ეს მაშინ, როცა არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ჩვენი ინტერესებისა და ჩვენი მოქალაქეების ენერგიულად დაცვა იქ, როგორც ეხლა. ადერბეიჯანის დღევანდელი ბატონ-პატრონნი თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევენ საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას. ამას წინად ცნობა იყო გაზეთებში, რომ ხელშეკრულების ნათელ და გარკვეულ პირობის მიუხედავათ საბჭოთა ჯარები შეჭრილან საინგილოში. ჩვენი მოქალაქეების კერძო ინტერესებს ხომ თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს ადერბეიჯანი. არამც თუ მათი ქონება, მათი ელემენტარული უფლებები და თვით ფიზიკური არსებობაც კი არაა უზრუნველყოფილი. „ჩრეზვიჩაიკა" და სხვა ამგვარი დაწესებულებები ისევე უდიერად და უტიფრად ეპყრობიან ჩვენს მოქალაქეებს, როგორც ადგილობრივ უსიტყვო და უუფლებო „ობივატელს".

ასეთ პირობებში საჭიროა, რომ ბაქოში გვყავდეს ჩვენ ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლება მოურიდებლათ და ენერგიულათ დაიცვას საქართველოს ინტერესები და მისი მოქალაქენი ადერბეიჯანში. ვინ შესძლებს ამას? ამას შესძლებს ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც თავისი რწმენით, წარსული მოღვაწეობით და პირადი თვისებებით ნდობა და პატივისცემა აქვს დამსახურებული დემოკრატიულ წრეებში. ჩვენი მოქალაქეები იქ ჯოჯოხეთურ პირობებში იმყოფებიან და თუ გინდ რამოდენიმე დღით მათი ღვთის ანაბარათ დატოვება დანაშაული იქნებოდა.

დ. მოსული.

## დეპეშა

გაგზავნილი საქართველოს სოც.-დემ. [illegible]

[illegible]

## დეპეშები

[illegible]

ნახვად ლოიდ-ჯორჯმა აუწყა კრასინს, რომ კომერციული მოლაპარაკება გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი მოგვცემს თავის ლოიალურ სურვილების დასამტკიცებელ საბუთებს და თუ უფრო მეტ დათმობით ხასიათის პირობებს წარმოგვიდგენსო. ამასთან ერთად მან სთხოვა ბრიტანეთის დელეგატს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, უაიზს, რომ მან გადასდოს ხელმეორეთ სხდომა, რომელიც ოთხშაბათს ბოლშევიკების დელეგატების თანდასწრებით უნდა შემდგარიყო.

**ფრაიჰაიტი გერმანიის მდგომარეობის შესახებ.**

გაზ. „ფრაიჰაიტი" აღნიშნავს მანევრებს მემარჯვენე პრესის, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს—ვითომ გერმანია რევოლიუციის წინ სდგას იმ დროს, როდესაც ანტანტა გერმანიის ჯარის შემცირებას მოითხოვს. ცხოვრების სიძვირის მიერ გამოწვეული არეულობა მათ ახალ არგუმენტებს აძლევს. რეაქცია, სწერს „ფრაიჰაიტი", სარგებლობს მოძრაობით, რომ დააჯეროს ანტანტა ძლიერი ჯარის აუცილებლობაში, და ის ამგვარად სცდილობს მიაღწიოს ძალა-უფლებას, როგორც სამშობლოს მხსნელმა.

**ვერსალის ხელშეკრულობის გარშემო.**

მოკავშირეებმა საკმაოთ გაითვალისწინეს ის დაბრკოლებანი, რომელსაც გერმანია ხვდებოდა წარგენილ პირობების ასრულებისას და ამ ჟამად არ ხედავს საჭირო საბუთებს, რომ კიდევ გააგრძელოს ვადა. ისინი აშკარად ამტკიცებენ თავის ძველ გადაწყვეტილებებს ვერსალის ხელშეკრულობის სამხედრო პირობების შესახებ, რომელიც შეეხება გერმანიის ჯარის, როგორც პირადი შემადგენლობის, აგრეთვე მისი ორგანიზაციისა და შეიარაღების მხარეს. თუ მოკავშირეებმა კიდევაც გადასწყვიტეს გერმანიისაგან ხელშეკრულების დადგენილების თანახმად განიარაღება მოეთხოვათ, ისინი მით უმეტეს, აუცილებლად სთვლიან დასტოვონ გერმანიის მთავრობის განკარგულებაში პოლიციური ძალები...(გამოტოვებულია)... საზოგადოებრივ უზრუნველყოფის პოლიციის გაძლიერება არ მოხდება არც რეინის მარცხენა ნაპირზე, სადაც მხოლოდ რეინის პროვინციების უმაღლეს კომისიას ნება აქვს დანიშნოს პირადი შემადგენლობის აუცილებელი რიცხვი, არც ოლქებში, რომელიც საპლებისციტოა, თუ მოკავშირეთა გაერთიანებული კომისიები და პლებისციტი ამას აშკარად არ მოითხოვენ. (შემდეგ დამახინჯებულია)...

**საერთაშორისო შეთანხმება.**

ბერნიდან იუწყებიან, რომ ცხრა ერის წარმომადგენელებმა, რომლებიც ეკუთვნიან მრეწველობის დამცველ საერთაშორისო კავშირს სახელდობრ: საფრანგეთის, გერმანიის, ნიდერლანდების, შვეციის, შვეიცარიის, ჩეხო-სლოვაკების, ტუნისისას და პოლონეთის ხელი მოაწერეს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც ომით დაშლილ სამრეწველო საკუთრებაზე უფლების აღდგენას ეხება.

## ბათომის და მისი ოლქის ადმინისტრატიულად მოწყობა

მთავრობის მიერ დანიშნულმა ბათომის და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორის ვალდებულების დროებით ასრულებელმა, თფილისის ქალაქის მოურავმა ბ. ჩხიკვიშვილმა საქართ. დეპ. სააგენ. თანამშრომელთან საუბრის დროს აღნიშნა ბათომის და მისი ოლქის ადმინისტრატიულად და სახელმწიფოებრივათ მოწყობის უახლოესი მიზნები. ბათომის და მისი ოლქის საქართველოზე გადმოცემის შემდეგ საქართველოს მთავრობის წინ დგება მიზანი—შეუდგეს ოლქში ადმინისტრატიულ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ბათომი იყო ის მოედანი, სადაც თავისუფლად მოქმედებდენ უცხოელი შეიარაღებული ძალები. ბუნებრივია, რომ ბათომში ინგლისის ხელისუფლების დროს უკანასკნელი ლებულობდა ზომებს ადმინისტრატიულ აპარატის შესაქმნელათ. მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ საშუალებას დაეწყოთ ბათომის ოლქში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. უკანასკნელ დრომდე ბათომი და მისი ოლქი იყო ბუდე, სადაც თავს იყრიდენ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დემოკრატიული წყობილების მტრები. ეს მტრები ყოველ ზომებს ღებულობდენ, რომ ჩამოეგლიჯათ საქართველოს სხეულიდან მისი ღვიძლი ძმები—მუსულმანი ქართველები. სწორედ ამ ანტი-საზოგადოებრივ ელემენტების წყალობით ბათომში სპეკულიაცია საშინლად იზრდება, თუმცა ბათომი ბევრ შემთხვევაში საუკეთესო პირობებში იმყოფებოდა. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა საქართველოს მთავრობა და ბათომში და მის ოლქში სამხედრო წესები გამოცხადდა და ბათომის საგენერალ-გუბერნატორო დააწესა. ბათომის ოლქის ჩვენი ჯარების მიერ დაკავებისთანავე მუსულმან ქართველებმა უნდა იგრძნონ, რომ ისინი მშობლიურ ოჯახში შევიდენ, სადაც არ არის ღვიძლი შვილი და გერი, სადაც ყველა თანასწორია, მიუხედავათ სარწმუნოებისა. ეს მშობლიური გრძნობა საქართველოსთან და მის დემოკრატიულ წყობილებასთან ქართველ მუსლიმანებში უნდა გაძლიერდეს მას შემდეგ, რაც ბათომში გატარებული იქნება საჭირო რეფორმები და როცა ბათომის ოლქში რევოლუციის ყველა მონაპოვარი დამკვიდრდება. უპირველესად ყოვლისა ყურადღება მიექცევა ოლქში ძლიერ და ელასტიურ ადმინისტრაციის აპარატის შექმნას. ქალაქში მილიციის მოწყობასთან ერთად ძალა-უფლება მთელ ოლქშიაც მოეწყობა. შესაძლებელია, რასაკვირველია, რომ ჩვენი ადმინისტრატიული და სახელმწიფოებრივი მუშაობა ზოგიერთ ელემენტების მხრივ დაბრკოლებას შეხვდეს და ასეთ დაბრკოლებას შექმნიან მხოლოდ მოსული ელემენტები, რომლებიც არაფრით არ არიან დაკავშირებულნი ბათომის ოლქთან. ასეთ ანტი-სახელმწიფოებრივ ელემენტებიდან ოლქი უნდა გაიწმინდოს, რა თქმა უნდა ლაპარაკიც არ შეიძლება ბათომის ოლქიდან უცხოელთა მასიურად გადასახლების შესახებ, მაგრამ საქართველოს მტრებს არ ექნებათ ადგილი ბათომში და მის ოლქში. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ანტი-სახელმწიფოებრივი მუშაობა არ იქნება დაშვებული. ჩვენი უახლოესი მუშაობა იქნება: ადმინისტრატიულ და სახელმწიფოებრივი მუშაობისთვის საფუძვლის ჩაყრა. ქალაქის თვითმართველობის მუშაობაში რა თქმა უნდა, მოწვეული იქნება ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები. (სდს).

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

2 ივლისი.

**კოპენჰაგენი.** ლიტვინოვმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: ხმები, თითქოს საბჭოთა მთავრობა ფიქრობდეს დააარსოს ევროპაში ანგარიშ-გასასწორებელი პალატა, მართალია, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ეს განზრახვაა, რომელიც ძლიერ შორს არის განხორციელებისაგან.

**პარიზი.** ლიუქსენბურგის სასახლის შენობაში გაიხსნა საერთაშორისო ვაჭრობის პარლამენტის პირველი კონფერენცია. გასახილველ საკითხთა შორის უმთავრესი საკითხია ვექსილის კურსის მოწესრიგება. პარიზში მყოფმა ბრიტანეთის სავაჭრო პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ ბერენსმა შეიტანა პროექტი: მოკავშირეთა ბანკნოტის შექმნის შესახებ. ამ ბანკნოტს ექნება კანონიერი ძალა და გასავალი მოკავშირეთა ქვეყნებში.

**პარიზი.** სავაჭრო პალატის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პარიზი სურსათით უზრუნველყოფილია 15 დღით. საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრმა წარმომადგენლებს განუცხადა: რკ. გზებზე ნახშირი ნორმალური მიმოსვლისათვის იკმარებს 17 დღეს, შემოკლებული მსვლელობისთვის კი—25 დღესო.

**ლონდონი.** გაზეთები იუწყებიან: ლოიდ ჯორჯი ფიქრობს ხალხთა ლიგის საბჭოში ინგლისის მხრივ წარმომადგენლობა თავის თავზე მიიღოსო. ამ გადაწყვეტილებას პრესა ხსნის, როგორც პირველ ნაბიჯს უმაღლესი საბჭოს გასაშვებად, რომლის არსებობაც ლოიდ ჯორჯსა და სესილს მიაჩნიათ საზარალოთ, რადგანაც იგი ხალხთა ლიგის ავტორიტეტის გაძლიერებას ხელს უშლის.

**ლონდონი.** „ტაიმს"-ში იბეჭდება დიდი განცხადება საჰაერო რეისების ორგანიზაციის შესახებ. ეს ჰაეროპლანები ისეთივე სისტემის არის, როგორც ჰაეროპლანები, რომლითაც ატლანტიკის ზღვით ავსტრალიაში გადაფრინდენ. საფოსტო სამგზავრო აპარატებზე არის ყველა საჭირო ნივთი: უმავთულო ტელეგრაფი, კაიუტები, საბარგო განყოფილება და პირის საბანები. აპარატი ზიდავს 11 მგზავრს, ან 1 ნახ. ტონ ბარგს. ლონდონიდან აპარატი კვირაში ორჯერ გაფრინდება. საზღვარ გარეთ და ირგვლივ მგზავრობა შეთანხმებით იქნება. ძვირფასეულებას საგანგებოთ გადაიტანენ. ხდება დაზღვევაც.

**კავკავი.** თანახმად როსტოვიდან მიღებულ ცნობებისა დონის სასურსათო მდგომარეობა კრიტიკულია. დათესილია სულ 1/3 სათეს ადგილებისა. გვალვის გამო ცუდ მოსავალს მოელიან. სამხედრო ხელისუფალთა განკარგულებით რკინის გზის დაცვა როსტოვ-სინელნიკოვ-ხარკოვის ხაზზე ძალზე გაძლიერებულია, ვინაიდან აღნიშნულია, რომ ბოროტმოქმედნი ხშირად აფუჭებენ რკინის გზას.

**ბაქო.** წითელ არმიელებს აცვიათ იტალიის ტანსაცმელები, რომელიც ბაქოში დაიტაცეს. უკანასკნელ დროს რუსეთიდან მოვიდა რამდენიმე დამსჯელი რაზმი, რომლებიც უმთავრესად მატროსებიდან შესდგება. ქალაქში წესიერება არის, მაგრამ ახლო მიდამოებში ხანდახან არეულობა ხდება, რომლებსაც დიდი სისასტიკით აქრობენ.

**ინგლისი და რუსეთი. პარიზი.** საფრანგეთის და ინგლისის პრესა გაცხარებით იხილავს ლოიდ ჯორჯის მიერ თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვას რუსეთის საკითხის შესახებ,—„ტანი" და „ჰუმანიტე" აღნიშნავენ, რომ ლოიდ ჯორჯის ვრცელი სიტყვის შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს გამოუსადეგარიაო. არსებითად რომ ვსთქვათ, ლოიდ ჯორჯს უკვე უპასუხა თემთა პალატის წევრმა არჩერჩიმ, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების გამართლება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ოქროს მიღების იმედით, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გერმანიის ხელში გადასულიყოვო. ორატორმა კატეგორიულად განაცხადა: მე და ჩემთან ერთად მილიონი ინგლისელი იმ თვალსაზრისზე ვდგევართ, რომ უმჯობესი იქნება ეს ოქრო გადავიდეს გერმანიის, ან სხვა რომელიმე ქვეყნის ხელში, ვინაიდან საბჭოთა ოქროს ვუცქერით, როგორც მოპარულს, რომლით სარგებლობის უფლებაც არა აქვთ ბოლშევიკებს. მეორე ორატორმა—პე-კრეუტმა დაუმატა, რომ ბევრი ინგლისელი უფრო შეურიგდება იმ აზრს, რომ ინგლისმა საჭიროება განიცადოს, ვიდრე მისი პატიოსნება ბოლშევიკებთან დამოკიდებულების აღდგენით იქნეს გასვრილიო.

**პიატიგორსკი.** საქართველოში საბჭოთა წარმომადგენლობასთან მყოფი ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ სამეურნეო უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ რიკოვმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს განუცხადა შემდეგი: ინგლისის ალების გამო მთელი თეთრი ფლოტი ჩვენსკენ გადმოვიდა და ჩვენთვის აუცილებელ 150 მილიონ ფუთ ნავთს ცენტრალურ რუსეთის ფაბრიკებსა და ქარხნებს მიაწოდებენ. სავარეო ვაჭრობას სახელმწიფომ მონოპოლიზაცია უყო. კავკასიისათვის საჭიროა არა ევროპასთან ვაჭრობა, არამედ სპარსეთთან და საერთოდ აღმოსავლეთთან ვაჭრობაო. ამიტომ ადერბეიჯანის და ბაქოს როლი იმგვარივეა, როგორიც იყო პეტერბურგის როლი დასავლეთის მიმართ. ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად ჩვენ ხელშეკრულებას დავდებთ შეთანხმე ულ მოქმედების შესახებ აღმოსავლეთში საგარეო სავაჭროთ, რითაც ჩვენ გაგვეხსნება ფართე პერსპექტივა და გადასწყდება ბამბის, მატყლის, ტყავისა და სხ. კრიზისიო.

## ახალი ამბები

**დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის** სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა. დამფ. კრების პრეზიდიუმს მთელი ბათომის ქართველი საზოგადოება, განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა და სარწმუნოებისა, აღფრთოვანებული ემზადება დიდებული დღესასწაულისათვის. არჩეულია საგანგებო კომისია, ოლქში გავიდა უკვე ხმა, რომ ევროპის სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს მთელი ოლქი და ქალაქი დაუყონებლივ გადასცენ საქართველოსო. „სედაი მილეთის" ბანაკში დიდი შიშია და ცდილობენ დანაშაულის მონანიებას და მორიგებას. დამფ. კრების წევრები: **ხოშტარია, ფირცხალავა, საყვარელიძე, ვეშაპელი, გობეჩია, ჰაიდარ აბაშიძე, ვლასა მგელაძე.**

— **კლუბების, რესტორანების, სასტ.** და სხვა. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი აცხადებს კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ გამგეობის წევრები: ბოლქვაძე აპოლ., კანდესი ლიუბა, სიბირცევი 15 ივნისიდან აღარ ირიცხებიან გამგეობის წევრებათ.

— **სახელოსნო კლუბში** დღეს, 3 ივლის გაიმართება დიდი საბავშო სეირნობა დუროვის მონაწილეობით, საღამოთი კონცერტი, სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ზალიპსკი, პანინა, ვესელოვზოროვი, ტარასოვი და სხვ. მთელი შემოსავალი გადაეცემა ტოშჩენკო-ტიხომიროვის ყოფილ გიმნაზიას, რომელიც ახლა თვით პედაგოგების ხელშია. პირველ მარტიდან ამ სკოლის მასწავლებლებს არაფერი მიუღიათ გასამრჯელო. მიზანი საღამოსი მეტად სიმპატიურია და იმედია საზოგადოება არ დაიშურებს წვლილის გაღებას და თავისი დასწრებით დახმარებას აღმოუჩენს ამ სასწავლებელს.

— **მეოთხე რაიონული კოლექტივი და სახალხო გვარდიის მეოთხე რაიონის შტაბი** სთხოვს ყველა იმ პარტიის წევრთ, რომლებიც არ იყვნენ მოწვეულნი პირველი ივლისის სხდომაზე, გამოცხადდენ დღეს, საღამოს 6 საათზე, ზემოთ მოხსენებულ ორგანიზაციების გაერთიანებულ კრებაზე. განსახილველია მეტად სერიოზული საკითხი.

— **ნ. ჩხიკვაძის საღამო.** დღეს, საღამოს 8 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში, პოეტ ნ. ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავად გაიმართება სალიტერატურო საღამო.

— **სახალხო გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობა კვირას, 4 ივლისს, დილის 10 საათზე მუშათა სასახლეში (ყოფ. არამიანცის სახლი) იწვევს სახალხო გვარდიის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებას ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გადასაჭრელათ. ამ კრებაზე აგრეთვე მოხდება კავშირის გასული წლის ანგარიშის განხილვა და ხელ-ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

— **ქართული სამუსიკო საზოგადოება.** დღეს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის კრება. დღის წესრიგშია. 1) ბათომის ფილიალურ განყოფილების საკითხი. 2) სახელმწიფო თეატრის შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები. ანგარიში თელავის განყოფილების შესახებ.

— **ოქროს ფულების დაჭერა.** თფილისის მილიციის უფროსის მიქელაძის დავალებით მეათე უბნის კომისარმა ლონლაძემ და მისმა თანაშემწე შვანგირაძემ 27 ივნისს სასწრაფო ზომები მიიღეს დაეჭირათ ვიღაც სპარსელი, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა თავრიზის რკინის გზის უფროსის თანაშემწე კილიატხან კალანტარი. შეკრებილ ცნობებით გაიგეს, რომ მას უნდა გაეტანა საქართველოს საზღვრებიდან დიდძალი ოქროს ლირები. ლონლაძე და შვანგირაძე 27 ივნისს დილით გაემგზავრენ ერევნის მოედნისკენ, საიდანაც ფული უნდა წამოეღოთ. მათ შეამჩნიეს ის პირი, რომელსაც ფულები მიჰქონდა და კვალდაკვალ გაჰყვენ სადგურისკენ. ფულის წამღები შევიდა განსაკუთრებულ ვაგონში, რომლითაც თავრიზის რკინის გზის მოსამსახურენი მიდიოდენ. დაიძრა თუ არა მატარებელი, ლონლაძე და შვანგირაძე, რკინის გზის მილიციის თანადასწრებით, შევიდენ ვაგონში. გაჩხრიკეს ვაგონი და კილიატხანი. კილიატ-ხანს აღმოაჩნდა კალათი, რომელშიაც ელაგა ერთ ფუთამდე ოქროს ლირა. კილიატხანი გამოტყდა, რომ ოქროები სპარსეთში გაჰქონდა და თანაც განაცხადა, რომ ფულები ეკუთვნის ვაჭარ რახმანოვს, რომელსაც სავაჭრო აქვს თავისუფლების მოედანზე თამამშევის ქარვასლაში. ლონლაძემ და შვანგირაძემ რკინის გზის მილიციის თანადასწრებით დასთვალეს ფულები შეადგინეს ოქმი და გადასცეს მილიციის უფროსს.

— **დამფუძნებელი კრების სახელზე** საქართველოს რესპუბლიკის ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეთა კავშირისაგან მიღებულია დეპეშა, რომელშიაც მუშები გულწრფელად ულოცავენ მას ბათომის შემოერთებას. ხელს აწერს—კავშირის თავმჯდომარე ლევაშკევიჩი.

— **თფილისის მთავრობის საშუალო კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებლის** აგრონომიული განყოფილების კურსი დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: აბუსერიძე რაჟდენ, ახვლედიანი გიორგი, ბარამიძე კონსტანტინე, ბახტაძე ივანე, ბერუჩევი ივანე, ბერიშვილი ვალერიან, ბერიშვილი ლავრენტი, ბელოუსოვი სერგო, დალ სერგო, ელენტი პეტრე, კუჩაევი მამედ-ემიდ, მაღლაკელიძე ვლადიმერი, მაჭარაძე დათიკო, მინდაძე დათიკო, რამიშვილი აპოლონ, რეგენკამპფი სერგო, სალაძე გრიგორი, სანოძე რაჟდენი, სულუხია მიშა, ცაგარეიშვილი აკაკი, ცალქალამანიძე დიმიტრი, წუწუნავა ლევან, ჭავჭანიძე ევგენი, ჩერნობილსკი გრიგორი, ჭურაძე გრიგორი, იარალოვი გრიგორი, იაკობაშვილი გრიგორი.

— **პლეხანოვის სახელობის კლუბში** (თეატრი ნაძალადევი) კვირას, 4 ივლისს, დაიდგმება პირველათ ვიქ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე". იმღერებს სახელმწიფო თეატრის მთელი ანსამბლი.

— **შეცდომის გასწორება.** გუშინწინდელ ნომერში მოთავსებული საქონელთა შესახებ მოწოდება. ავტორათ შეცდომით ხელმოწერილია: ი. ქავთარაძე, უნდა იყოს: ი. ქუთათელაძე.

გუშინდელ ნომერში პროვინციის ქრონიკაში სამტრედიიდან რკინის გზელების კონფერენციაზე დელეგატებათ არჩეულების რიცხვში შეცდომით არის გამოცხადებული ახობაძე; უნდა იყოს: ი. მიქაია.

— **დაიკარგა** პარტიული წიგნაკი № 2092 გთხოვთ მნახველს დამიბრუნოს. მისამართი თფილისის საბარგო კანტორაში არსენა ტყებუჩავას.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, სად. 5 ს. შესდგება ს, ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის წევრთა არაჩვეულებრივი სხდომა. კოლექტივის პრეზიდიუმი სთხოვს რაიონში არსებულ იაჩეიკებს და პროფ. კავშირის ფრაქციის წარმომადგენლებს დაესწრონ ამ სხდომაზე, გადასაწყვეტია ფრიად საყურადღებო კითხვები.

— დღეს, სად. 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის არაჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია საქ. ახალ. მარქ. ორგ. ცეკას სხდომა. სთხოვენ ამხ. ედიბერიძესა და ფირცხალაიშვილს მოვიდენ სხდომაზე.

**პროვინციის ქრონიკა**

**დიდი გუბი.** 7 ივლისს ს. დიდ გუბში, იმავე სოფლის დაწყებითი სასწავლებლის შენობაში, გადახდილ იქნება საიუბილეო საღამო ადგილობრივ მოღვაწის ნესტორ წერეთლის სიკვდილის შემდეგ 15 წლის შესრულების აღსანიშნავათ.



**პოეტი ნოე ჩხიკვაძე**

(გარდაიცვალა ამ წლის მაისის 24-ს.)

## ნოე ჩხიკვაძე

დღეს შესრულდა 40 დღე პოეტ ნ. ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან.

სულიერად და ფიზიკურად დაუშრეტელ ენერგიით აღსავსე პოეტმა თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე დაასრულა ტრაგიკული გადატეხით, მიხეილის საავადმყოფოში, მოწყვეტილმა მეგობრებს და ამხანაგებს, დამამშვიდებელ ხალათით საწოლზე მიკრულმა საშინელ მარტოობაში განუტევა სული „ბრძოლის ცეცხლად ქცეულ" პოეტმა. ანთებისაგან გაგიჟებული სული დაუცხრომელ და შეუპოვარ მგოსნისა იბრძოდა საავადმყოფოში უკანასკნელ წამს, როგორც გაცოფებული ლომი რკინის საკანში. და დაეცა საბედისწერო ბრძოლაში უკუღმართ ცხოვრებისაგან დამარცხებული.

უნუგეშოა საერთოდ ქართველი მწერლის ბედი და ნ. ჩხიკვაძესაც საკმაოდ ბევრი ნაღველი ერგო წილად. თავიდან ბოლომდის მისი სიცოცხლე იყო დაუსრულებელი ბრძოლა, დაუსრულებელი ტანჯვა. მან უარყო უსამართლობით სავსე ქვეყანა და ამ ქვეყანამაც ბევრი სიმწარე შესვა მას.

დღეს მგოსნის გარდაცვალების 40 დღის თავზე, მისი ამხანაგები პოეტის ხსოვნის აღსანიშნავად გამართავენ მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში სალიტერატურო საღამოს. წმინდა შემოსავალი გადაეცემა უდროოდ ჩამქრალ პოეტის უმწეოდ დარჩენილ ცოლშვილს.

ნ. ჩხიკვაძის ნიჭის პატივისმცემლებმა, განსაკუთრებით ჩვენმა დემოკრატიამ, რომლის წმინდა იდეალებისთვის ბრძოლა შეადგენდა ამ ნიჭის მთავარ ჰანგს, უნდა სცენ პატივი პოეტის ხსოვნას და მის ბალღებს დახმარება აღმოუჩინონ.

მეგობარი.

## მცირე შენიშვნა

„საქართველოს კომუნისტმა" ინება და „რუსული კომუნიზმის" ოლიმპიდან ჩვენს „მეშჩანურ დემოკრატიას" თავის „სოციალისტური" თვალი მიმოავლო.

აქ მან, სხვათა შორის, ჩვენი წიგნაკი: „რა უნდა იცოდეს ყველამ" აღმოაჩინა და მის განქიქებას შეუდგა. და შეუდგა მარქსიზმის სახელით!

მოდი და ნუ გაგეცინება! კომუნიზმი და მარქსიზმი! ამაზე იტყვიან: въ городѣ бузина, а въ Кіевѣ дядько".

მას ყველაფერი ბურჟუაზიულათ ეჩვენება, რასაც საბჭოთა ბეჭედი არ აზის და რაც ამავე საბჭოთა მართველობის სისტემის ქებათა-ქებას არ შეიცავს. მას ნიშანში ამოუღია ჩვენი განმარტება სახელმწიფოს შესახებ, უარყოფს მას ენგელსის სახელით და სრულიად ვერ გრძნობს, ან არ იცის, რომ ეს განმარტება სწორედ რომ ენგელსის განმარტებაა. ან იქნებ „კომუნისტს" ჰგონია, რომ ენგელსი საბჭოთა სისტემას იცავდა?! ის ალბად ამის მტკიცებასაც დაიწყებს! მას აურევია ერთმანეთში კლასთა ბრძოლა, სახელმწიფოს ფორმა და დანიშნულება, მიზანი სახელმწიფოს გამოყენებისა და აი აქედან წარმოსდგება ის დომხალი აზროვნებაში, რომლითაც ასე დატვირთული არიან „კომუნისტის" თანამშრომლები.

ბიბლიოგრაფიის ავტორი მ. კ., როგორც მართლმორწმუნე კომუნისტი, სიცრუესაც არ ერიდება. ის სწერს: „განი არჩევს პრეზიდენტს, უამისოთ მას როგორც გავს ვერ წარმოუდგენია სახელმწიფოო". ეს მაშინ, როცა მე სწორეთ იმ აზრს ვიცავ, რომ პრეზიდენტი სრულიად ზედმეტი ბარგიათქო. ეს აზრი მიიღო პარტიულმა ყრილობამაც და ასე იქნება ეს კონსტიტუციაშიც.

მ. კ—ს მთელი რისხვა, როგორც სჩანს, წარმოსდგება იქიდან, რომ მას ვერ მოუნელებია ის აზრი, რომ პარტია ცდილობს პარლამენტიც გამოიყენოს თავის მიზნების განსახორციელებლათ. კომუნისტებმა, როგორც ვიცით, დაანგრიეს სახელმწიფო, შექმნეს რაღაც ხუხულა, უარყვეს პარლამენტი და რა გასაკვირია, თუ პარლამენტის ხსენება მათ ისე აფრთხობს, როგორც ხარს წითელი ფერი. და აი ამით დამფრთხალ და აბნეულ კომუნისტს ერთი დებულება ვითომ ასეთი დასკვნის უფლებას აძლევს: სანამ „პიროვნებათა კავშირი" პარლამენტის გარეთაც ცდილობენ თავის მიზნების განხორციელებას, ესენი ბანდები და „ბნელი ელემენტები" იქნებიან, სანამ პარლამენტს და მხოლოდ მას არ ირწმუნებენო... რა მოსატანია აქ „ბანდები" და ბნელი ელემენტები"? რათ აგონდება „კომუნისტს" მუდამ „ბანდები" და „ბნელი ელემენტები"?!

რომ „კომუნისტს" თავის „სოციალისტური" შეხედულება დაეპირდაპირებია სადაო დებულებისათვის, მაშინ, რასაკვირველია, ჩვენთვის უფრო ადვილი იქნებოდა დაგვემტკიცებია მათი ანარქისტული აზროვნება სახელმწიფოს შესახებ· მარა მან ეს არ ინება. ის დაკმაყოფილდა ჩვეულებრივი ეპიტეტებით: მეშჩანური დემოკრატია, მეშჩანური ცნებანი, ბურჟუაზიულ-იურისტების სქოლასტიური სიბრძნენი, უმარქსოდ იოლად მიდის და სხ. ერთი სიტყვით იმეორებს იმ იწილო-ბიწილოს, რომლითაც ასე იოლად მიდიან ბატონი კომუნისტები და გონიათ, რომ ამ წარა-მარა ხმარებაში გაცვეთილი ფრაზებით ჩვენს მეშჩანობას და თავის უალრეს სოციალისტობას დაამტკიცებენ...

განი.

# უცხოეთი

### ინგლისი

**მუშათა პარტიის კონფერენცია.** 22 ივნისს დანიშნულია მუშათა პარტიის მეოცე კონფერენცია სკარბოროში. დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს საკითხათ არის საკითხი ინტერნაციონალის შესახებ. ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები მომხრენი არიან მეორე ინტერნაციონალში დარჩენის; აქედან გამოსვლას მოითხოვს მხოლოთ გემსტედის ორგანიზეცია. ვორს სენტპანკრასის ორგანიზაცია წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას მეორე და მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელთა შეერთებული კონფერენცია.

### შეერთებული შტატები.

**სეპარატიული ზავი გერმანიასთან და ავსტრიასთან.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ ორივე პარტიამ გადასწყვიტა უყურადღებოთ დასტოვონ „ვეტო“ რომელიც დაადო პრეზიდენტმა ვილსონმა პალატების რეზოლიუციას გერმანიასთან და ავსტრიასთან საზავო მოლაპარაკების აღდგენის შესახებ.

### ლ ა ტ ვ ი ა.

**ზავის მოლაპარაკების გარშემო.** რიგის გაზეთმა „სეგოდნიამ“ გამოაქვეყნა ის პირობები, რომლებიც წარუდგინა ლატვიის დელეგაციამ საბჭოთა მთავრობას: 1) რუსეთი სცნობს ლატვიის დამოუკიდებლობას და უარს ამბობს ყველა იმ უფლებებზედ, რომლებიც როდისმე ეკუთვნოდა მას ლატვიის მცხოვრებთა მიმართ; 2) ორივე რესპუბლიკის საზღვრები უნდა განისაზღვროს ეტნოგრაფიული პრინციპის მიხედვით, და ამასთანავე მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ქვეყნის დაცვის ინტერესები: 3) ლატვიას სავსებით უნაზღაურდება ის ზარალი, რომელიც მიაყენა მას რუს ჯარების მოქმედებამ. საერთო ჯამი ზარალისა უდრის 2 მილიარდ მანეთს ოქროთი; 4) არქივები, სასოფლო - სამეურნეო მანქანები, ცოცხალი ინვენტარი, საკრედიტო დაწესებულებების და ბანკების ქონება უნდა დაუბრუნდეს ლატვიას ან კიდევ გადახდილი უნდა იქნეს ამ საქონლის ღირებულება. საერთო ჯამი აღემატება ერთ მილიარდ მანეთს ოქროთი; 5) ლტოლვილებს თავის ქონებით უნდა მიეცეს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა; 6) ლატვია ღებულობს რუსეთისაგან თავის ხვედრ ოქროს, რაც უდრის დაახლოვებით 27 მილიონ მანეთს. უკანასკნელ შემთხვევაში ლატვია ვალდებულად ხდის თავის თავს მონაწილეობა მიიღოს რუსეთის იმ ვალების გადახდაში, რომლებიც აღებულია ძალა-უფლების ბალშევიკების ხელში აღებამდე. ამის გარდა ლატვია მოითხოვს რიგა-ორიოლ-ვინდავა-მოსკოვის რკინის გზის ლიანდაგის 1500 ვერსის ექსპლოატაციის უფლებას.

### სომხეთი.

**ყალბ ხმების გავრცელებისათვის.** რამდენიმე დღის წინათ ვიღაც უცნობი პირები ავრცელებდნენ ხმებს, რომ ვითომ თფილისში გამოცხადებულია საბჭოთა მთავრობა. ერევნის განსაკუთრებულ სასამართლოს პროკურორის მიერ მიღებულ ზომებით აღმოჩნდა, რომ ამ ხმებს ავრცელებდა ინჟენერი მიხეილ ჰასან ჯალალიანი და ტეხნიკი ნიკოლოზ ივანოვი, ორივე პასუხისგებაში მისცეს და მოათავსეს სამხედრო ციხეში.

**თათრების გადასახლება.** გაზეთ „არაჩის“ ცნობით ათი ათასობით შეიარაღებული თათრები ყარაბაღის დაბლობ ნაწილიდან გადადიან ყარაბაღის სომხურ ნაწილის მთებში.

**ჭაობების ამოშრობა.** კამარლიუს რაიონში დაიწყეს ჭაობების ამოშრობა. ჯერ-ჯერობით ხარჯებზედ გადადებულია 200.000 მან.

**ნათესების გაფუჭება.** არარატის გუბერნატორს ტელეგრაფით ატყობინებენ, რომ სურმალინის მაზრაში სეტყვისაგან დაზარალდა ნათესები და ბაღები ახვერისის, ბაგარლუხის და სხვა სოფლებში. მცხოვრებლებს მოესპოთ ყოველივე საშუალება არსებობისათვის. ისინი ითხოვენ 200 ფ. შერიას მიწევის ხელახლა დასათესათ.

### ა დ ე რ ბ ე ი ჯ ა ნ ი.

**მცხოვრებთა აღრიცხვა.** ბაქოში დაამთავრეს მცხოვრებთა კლასობრივი აღრიცხვა. შედეგი ასეთია: მუშები—70000 მუშებისა და საბჭოთა მოსამსახურეების ოჯახები—180,000, წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია—70,000 კაცი.

**საქონლის გაცვლა-გამოცვლა საფრანგეთთან.** „ცენტრო კავშირმა“ „სოვნარკომის„ თანხმობით შეჰკრა საფრანგეთის ფირმასთან ხელშეკრულება, რომლითაც უკანასკნელი ვალდებულია შემოიტანოს ბაქოში სხვა და სხვა საქონელი.

## ორი ინტერნაციონალი

მეორე ინტერნაციონალის ბიუროს მდივანმა, როგორც ვიცით, გამოაცხადა რომ 1 აგვისტოს იქნება მოწვეული მეათე ყრილობა. ეხლა ბალშევიკებიც იწვევენ „მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის“მეორე ყრილობას. ამგვარათ, ჩვენ ვდგევართ ორი ინტერნაციონალის წინ: ერთი იკრიბება აღმოსავლეთში, ქ. მოსკოვში, მეორე დასავლეთ ევროპაში—ქ. ჟენევაში. ორივეს ერთი და იგივე მიზანი აქვთ, სოციალიზმი. ორივე ემყარება მარქსიზმს. მიუხედავათ ამისა, მეორე და მესამე ინტერნაციონალის მეთაურები დაადგენ სხვადა სხვა გზას. ისინი, ვინც მეორე ინტერნაციონალში დარჩა. ამბობენ: დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმისაკენ; ბალშევიკები ამბობენ: საბჭოთა მთავრობის საშუალებით, სოციალიზმისაკენ. პირველნი ფიქრობენ, რომ დემოკრატიის საშუალებით ჩვენ მოვამზადებთ ნიადაგს სოციალიზმისათვის, მეორენი ფიქრობენ,—საბჭოთა მთავრობის საშუალებით ეხლავე მოვახდენთ სოციალისტურ რევოლიუციას.

თავისთავად იბადება კითხვა, რომელი სჯობია ამ ორ გზაში? რომლის საშუალებით უფრო ჩქარა და ადვილათ მიაღწევს პროლეტარიატი მიზანს? ამისთვის საჭიროა სულ მოკლეთ თვალი გადავავლოთ წარსულს, გავითვალისწინოთ ის პრინციპები, რომლებზედაც იყო დამყარებული პირველი და მეორე ინტერნაციონალის მუშაობა.

საფუძველი პირველ ინტერნაციონალს ჩაუყარა კომუნისტთა კავშირმა. მან იანვარში 1848 წ. (რევოლიუციის წინ) გამოუშვა მარქსის და ენგელსის მიერ დაწერილი „კომუნისტური მანიფესტი“. ის თავდებოდა იმ ლოზუნგით, რომელიც მას შემდეგ აწერია საერთაშორისო პროლეტარიატის დროშაზე. („პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“) ისტორიული მნიშვნელობა კომუნისტური მანიფესტისა იმაშია, რომ მან უარჰყო ძველი უტოპიური გზა—კოოპერაციის და სხვა მსგავსი ეკონომიური ორგანიზაციების საშუალებით სოციალიზმის დამყარება. მარქსი და ენგელსი უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ პოლიტიკურ ბრძოლას.

პირველი ინტერნაციონალი, რომელიც დაარსდა 1864 წელს მარქსის ხელმძღვანელობით თავიდანვე ადგა „კომუნისტურ მანიფესტის“ მიერ ნაჩვენებ გზას. გარდა ამისა, მარქსი ცდილობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობის დაცვას. ის, როგორც სამართლიანათ შენიშნავს ზომბარტი ყველას ანგარიშს უწევდა ფრანგ კოოპერატორებს, ინგლისის ტრედიუნიონელებს, ლასალის მიმდევრებს და სხ. მარქსი დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარიატი თავის დროზე სწორ გზას დაადგებოდა. მისი იმედი სავსებით ვერ გამართლდა, პირველ ინტერნაციონალში მალე გაიმართა ბრძოლა ბაკუნისტებთან (ანარქისტებთან) რომელნიც უარყოფდენ პოლიტიკურ ბრძოლას, ბაკუნისტებმა ნიადაგი მოიპოვეს იმ დროს ეკონომიურათ ჩამორჩენილ ქვეყნებში—იტალიაში, ისპანიაში, შვეიცარიის, იურაში და სხ. ისინი არ ერიდებოდენ ინტრიგას და სხვა უღირს ზომებს თავის პოზიციის გასამაგრებლად, მათი ინტერნაციონალში დარჩენა მოძრაობის დამღუპველი იყო. ამიტომ ბრიუსელის კონგრესზე ბაკუნინი და მისი მიმდევრები გამორიცხულ იქნენ ინტერნაციონალიდან. ამას დაერთო ის, რომ ინგლისის ტრედიუნიონები გაიტაცა პროფესიონალურ ნიადაგზე ბრძოლამ. ისინი ჩაეფლენ სადღეისო მუშაობაში, დაივიწყეს პოლიტიკური ბრძოლა და შორეული მიზანი. ასეთ პირობებში ინტერნაციონალი ვერ იარსებებდა. აღარც მარქსი აქცევდა მას დიდ ყურადღებას. მან შეასრულა თავის როლი და დაიშალა. მის ნანგრევებზე სხვადასხვა სახელმწიფოებში გაჩნდენ სოციალისტური პარტიები.

ბევრი უნაყოფო ცდის შემდეგ 1889 წ. პარიზში მოხდა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი. სულ მეორე ინტერნაციონალს ჰქონდა ცხრა ყრილობა. უკანასკნელი ბაზელში. მიზანი მეორე ინტერნაციონალისა იგივე იყო, რაც პირველის. ორივე „კომუნისტური მანიფესტის“ ძირითად დებულებებს ემხრობოდენ, ორივეს სურდათ კოლექტიური სოციალიზმის დამყარება პოლიტიკური [illegible]

შემო ამტყდარ კამათის დროს თავი იჩინა სამმა მიმდინარეობამ. მცირე ჯგუფი ერვეს მეთაურობით ამტკიცებდა, თუ ომი გამოცხადდა პროლეტარიატმა მას უნდა უპასუხოს საერთო გაფიცვით, აჯანყებებით, დეზერტირობით და სხ. უფრო ძლიერი ჯგუფი ჟორესის მეთაურობით მოუწოდებდა საერთო გაფიცვის გამოცხადებისაკენ. გერმანელები ბებელის მეთაურობით ყველა ამ ზომებს სახიფათოდ სთვლიდენ. ასეთი მეთოდი საშუალებას მისცემს მთავრობას გაანადგუროს სოციალისტური პარტია. ამიტომ ომის წინააღმდეგ ჩვენ მარტო. პარლამენტარული ბრძოლა შეგვიძლიაო საკითხი კომისიაში გადავიდა. შეთანხმების ტენდენციამ შემუშავებინა კომისიას ისეთი რეზოლიუცია, რომელიც ყველასათვის მისაღები შეიქნა. როცა მას კენჭს უყრიდენ, ერვე დემონსტრატიულად სტოლზე შეხტა და რეზოლიუციას ხმა მისცა ორივე ხელის აწევით. რეზოლიუციაში იყო ნათქვამი, რომ საერთაშორისო ბიურომ უნდა გამონახოს დროს შესაფერი ზომები. ეს იყო ინტერნაციონალის სისუსტე, რომელიც გამომდინარეობდა ორგანიზაციულ სისუსტისაგან. მას არ შეეძლო სავალდებულო დადგენილების მიღება, ამიტომ შემუშავებულ იქნა კომპრომისული ყველასათვის მისაღები რეზოლიუცია. სისუსტე დანაშაულობა არ არის. მეორე ინტერნაციონალმა ვერ გააკეთა ის, რის გაკეთებაც არ შეეძლო. მან ვერც შეაჩერა ომი. იმაში კი რაც ჩაიდინეს ომის დროს ბიუროს წევრებმა ან ამა თუ იმ ქვეყნის სოციალისტური პარტიის ნაწილმა, პასუხი მოეთხოვებათ თითონ ამ პარტიის ნაწილებს და ბიუროს წევრებს.

სისუსტე ინტერნაციონალისა გამომდინარეობდა საერთო ეკონომიურ მდგომარეობიდან. კაპიტალიზმი ვითარდებოდა ნაციონალურ სახელმწიფოთა ფარგლებში. თვითეულ სახელმწიფოს საზღვრებში სოციალისტური მოძრაობა დღითი დღე იზრდებოდა. სოციალური პარტიების საერთაშორისო კავშირი კი იყო უფრო მექანიკური, ვიდრე ორგანიზაციული ამით განსხვავდებოდა ის პირველი ინტერნაციონალისაგან. პირველ ინტერნაციონალს შეეძლო მოეწყო ცენტრალისტური ორგანიზაცია. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ნაციონალურ სახელმწიფოთა ფორმები. ნაკლებ იყო განვითარებული აგრეთვე პროლეტარიატის ეროვნული თვითშეგნება. ამიტომ ჯერ არ არსებობდა ნაციონალური სოციალისტური პარტიები. მეორე ინტერნაციონალი კი პირიქით ნაციონალური პარტიებისაგან შესდგებოდა.

დღეს საერთაშორისო ომმა დაარღვია ნაციონალური საზღვრები. თუ წინეთ თვითეული სახელმწიფო დამოუკიდებლათ აწარმოებდა ეკონომიურ პოლიტიკას, დღეს ეს შეუძლებელი ხდება. თვით კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული ხდებიან დააარსონ საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციები ნედლი მასალის გასანაწილებლათ, ფინანსიური საკითხების მოსაწესრიგებლათ და სხ. შეიქმნა საერთაშორისო პოლიტიკური ორგანოც—ნაციათა ლიგა. მართალია მას ჯერ არ აქვს გარკვეული ფიზიონომია, მაგრამ ცხადია, რომ ის წარმოშვა არა მარტო გაჯავრებულ ერთა კაპრიზმა, არამედ საერთო ტენდენციამ, რომელიც მიმართულია სხვადასხვა სახელმწიფოების ეკონომიურათ დაკავშირებისაკენ. ინტერნაციონალის ვალია მისცეს ლიგას ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი.

თუ ეკონომიურმა განვითარებამ გადალახა ეროვნულ სახელმწიფოთა საზღვრები, ცხადია შესაძლებელი გახდება განახლდეს ინტერნაციონალიც. შესაძლებელი და საჭირო იქნება ჰქონდეს მას ცენტრალური ორგანო. ერთი დაკვრით, რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება, მაგრამ რამოდენიმე ხნის განმავლობაში შეიქნება ორგანიზაცია, რომლის დადგენილება ავტორიტეტული და სავალდებულო იქნება ყველა ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებისათვის. რა უნდა დავარქვათ განახლებულ ინტერნაციონალს „მეორე“ თუ „მესამე“, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ცხადია, რომ ის არ ემგვანება ორგანიზაციულათ არც პირველს არც მეორეს. საქმე რომ სახელში იყოს, პირველ ინტერნაციონალს მეორე უნდა დავარქვათ და მეორეს მესამე, რადგან პირველი ინტერნაციონალური ორგანიზაცია იყო კომუნისტთა კავშირი. საქმე იმაშია, უნდა დაემყაროს, თუ არა, განახლებული ინტერნაციონალი მარქსის პრინციპიალურ დებულებებს. გავიმეოროთ ეს პრინციპები: 1) სოციალისტური რევოლიუცია უნდა მოხდეს მაშინ, როცა ეკონომიური განვითარება მოამზადებს შესაფერ ნიადაგს, 2) სოციალისტური რევოლიუცია უნდა მოახდინოს უმრავლესობამ უმცირესობის წინააღმდეგ, 3) უნდა დაცულ იქნას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობა. ამით ხელმძღვანელობდა პირველი და მეორე ინტერნაციონალი, აიღებს თუ არა ხელს განახლებული ინტერნაციონალი ამ იდეიურ მემკვიდრეობაზე? უნდა ვიფიქროთ, რომ ვერ აიღებს.

მუშათა მოძრაობის მთლიანობის დაცვას ვერავინ უარყოფს. პირველ ინტერნაციონალში მომხდარი განხეთქილება ძვირათ დაუჯდა პროლეტარიატს. ერთსა და იმავე დროს ინტერნაციონალის არსებობა ჟენევაში და მოსკოვში გავლენას დაუკარგავს ერთსაც და მეორესაც. ამიტომ სუბიექტიურ განწყობილებას უნდა ვძლიოთ და ხელი შევუწყოთ ერთი ინტერნაციონალის შექმნასა, რომელშიაც შევლენ ყველა ისინი, ვისაც სწამს სოციალიზმი, როგორც მიზანი, და პოლიტიკური ბრძოლა, როგორც საშუალება. ეგრეთ წოდებული „მესამე ინტერნაციონალის“ თავმჯდომარე ზინოვიევი მეორე ინტერნაციონალს „ყვითელს“ უწოდებს. მას არ მოსწონს შეიდემანი, ვანდერველდე, რენოდელი კაუცკი. (ისინი ხომ მეორე ინტერნაციონალი არ არიან) მაგრამ საქმე ხომ მის გემოვნებაზე არ არის. დასახელებულ პირების პოლიტიკას იზიარებს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა. თუ „მესამე“ ინტერნაციონალში ჩაწერილი რუსეთის, ჩინეთის, ოსმალეთის, სპარსეთის და ინდოეთის პროლეტარიატი უფრო მაღლა სდგას და უკეთ მომზადებულია სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენათ, მას ურჩევნია საერთო ინტერნაციონალში ყოფნა, რომ უკეთ ასწავლოს ჭკუა ჩამორჩენილ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს.

როგორ მოხდება ინტერნაციონალის განახლება, ტეხნიკური საკითხია. შეიძლება, მაგალითათ, საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა თუ ვინმე არ ენდობა ძველ ბიუროს წარმომადგენლებს. გამოსვლა კი მეორე ინტერნაციონალიდან შეუძლია მას, ვინც უარყოფს მის პრინციპებს. ეს იმიტომ, რომ ორგანიზაციულათ მეორე ინტერნაციონალი არ არსებობს. ის დაანგრია საერთაშორისო ომმა. არსებობს ამ ინტერნაციონალის მარქსიზმზე დამყარებული იდეოლოგია, რომლის უარყოფაც ჯერ ნაადრევია. ბალშევიკების მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლა ლოგიკურია, რადგან ფაქტიურათ მათ უარყვეს მარქსიზმი.

ალ. დევდარიანი.

## ცრემლი

ტანჯვის ცრემლით დაითუთქა ჩემი გაზაფხული.
სასოებამ მიღალატა, სევდით წარხდა გული.
ვერვინ ვპოვე სანუგეშოდ, პირში თანამგრძნობლად,
წუთისოფლის ყრუ საკანში ვკვდები მარტო, ობლად.
ვის ვუმღერო? ვის გავანდო სულის აღსარება?
ვინ გაიგოს ჩემი ცრემლი, ჩემი მწუხარება?
დაინთქა და დაიღუპა ქვეყნად რაც მებადა.
რა ვიღონო, რა ვეძიო? სად წავიდე, სადა?
გარს მარტყია მე უდაბნო გაუვალი, ვრცელი.
მიწა მდევნის და ზეცამდის არ მიმიწვდა ხელი.
ვერსად ბინა ვერა ვპოვე მე ჩემს სამშობლოში,
სიცოცხლითვე ჩემი სული სტირის შავ კუბოში.
განა ამას შევნატროდი, ამას მოველოდი,
რომ სამარე გამითხარეს და დამადეს ლოდი?..
ოხ, სიკვდილი ემუქრება ნორჩ სიცოცხლის ყანას!..
ღმერთო, როგორ შეეცვალა ფერი ამ ქვეყანას!..

ნ. ჩხიკვაძე.

## სასკოლო განათლება

რესპუბლიკის სკოლების სარეორგანიზაციო კომისიამ თავის უკანასკნელ ოთხი თვის მოქმედების შესახებ ანგარიში შეადგინა, კომისიამ მოასწრო საერთო განათლების სკოლების ძირითადი დებულებების შემუშავება. კომისიის აზრით უნდა მოეწყოს 8 წლიანი ყველასათვის სავალდებულო და უფასო სწავლა-განათლება. პირველ კლასში მხოლოდ 6 წლიან ბავშებს შეუძლიათ შესვლა. ამ სკოლამ ერთნაირი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც ჰუმანიურ, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას აღზრდის და განათლებას საფუძვლათ. ამ სკოლაში შრომა ექნება. საშუალო სკოლები იქნება ორ გვარი, საერთო განათლებისა და პროფესიონალური. საშუალო სკოლის კურსები 4 წლიანი არის. პროფესიონალური სკოლები სხვა და სხვა ტიპის იქნება, მაგრამ კომისიამ მოასწრო მხოლოდ კომერციულ და პედაგოგიურ სკოლების ძირითადი დებულების გამომუშავება. თავის მხრივ პედაგოგიური სკოლა ამზადებს, მასწავლებლებს პირველ დაწყებით სკოლებისათვის, უმაღლესი პედაგოგიური სკოლა კი ამზადებს მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის. პირველის კურსი არის 5 წლიანი. ამასთანავე პირველი სამი წელიწადი საერთო განათლების მომზადებაზე მიდის, უკანასკნელი 2 წელიწადი კი მეთოდიურ-პედაგოგიურ მომზადებაზე. საშუალო სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლათ განზრახულია სპეციალურ ინსტიტუტის დაარსება. ეს ინსტიტუტი შესატყვისია უნივერსიტეტის ფაკულტეტისა. ამ ინსტიტუტში მიიღებენ სპეციალურ განათლებას უნივერსიტეტში კურსდამთავრებულნი ან ის სტუდენტები, რომლებიც უკანასკნელ კურსზე იქნებიან. კომისიამ ყველა დასახელებულ ტიპის სკოლის ძირითადი დებულებები უკვე შეიმუშავა, დაამუშავა მეცადინეობის გეგმა და გაკვეთილების განაწილებაც მოახდინა. მომავალ სამოსწავლო წელში აღნიშნულ სკოლების პირველი კლასი გაიხსნება. მუშაობა ამ კლასზე უკვე დამთავრებულია. ამასთანავე ამ კლასის დამახასიათებელი თვისება არის წმინდა სასკოლო ელემენტის საბავშვო ბაღთან შეერთება. ეს მოვლენა დროებითია და გამოწვეულია მით, რომ ჯერჯერობით შეუძლებელია საბავშვო ბაღების სისტემის შემუშავება. გარდა ამისა სასკოლო პროგრამებში შეტანილი იქნება ზოგიერთი კორექტივები, რომელიც თვით ცხოვრებით არის გამოწვეული. ზაფხულის თვეები განაწილებულია კომისიის წევრებს შორის სპეციალურ მოსამზადებელ მუშაობის საწარმოებლად. (სდს)

## რკინისგზელთა პროფ. კავშირების კონფერენცია

1 ივლისს რკ. გზელთა ცენტრალურ გამგეობის შენობაში გაიხსნა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა ცენტ. გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ბერეჟიანმა.

მან მოკლე სიტყვით მიმართა კონფერენციას, გააცნო დღის წესრიგი და მოუწოდა აერჩია პრეზიდიუმი. მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები. თავმჯდომ. არჩეულ იქნა ნ. ბერეჟიანი, ამხანაგებათ ვ. ცენტერაძე და ვასო სიხარულიძე, მდივნათ მოსე ჭყონია.

სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა, კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ადერბეიჯანთან ომის დროს გმირულად დაღუპულ გვარდიელების და ჯარისკაცების ხსოვნას, აგრეთვე მიანდო პრეზიდიუმს მისალმების დეპეშა გაუგზავნოს კონფერენციის სახელით ფრონტზე მყოფ გვარდიელებს ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია სამანდატო კომისია 3 კაცისაგან: გ. ნინიძე, კიკაბიძე და ის. თელია.

ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნ. ბერეჟიანი; მოხსენების შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: რკინის გზელების მეორე ყრილობამ საჭიროდ დაინახა ადმინისტრაციის კავშირის გარეშე დატოვება. ამის გამო ბევრი ამხანაგები, ფიქრობდნენ, რომ კავშირის გამგეობაში თავს მოიყრის განსაკუთრებით მუშა ელემენტები და შიშობდნენ კავშირის მუშაობაში არ შეეტანა ამ მდგომარეობას მაქსიმალისტური სულის კვეთება და მისწრაფებები; მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, უნდა აღინიშნოს, რომ კავშირების მუშაობაში ასეთ ანარქო-მაქსიმალისტურ გატაცებას ალაგი არ ჰქონია და ხელმძღვანელებიც მომენტის მიხედვით მიზანშეწონილათ სდგამდენ ამა თუ იმ ნაბიჯებს.

ჩვენი მთავარი ხაზი უწინაც იყო და ეხლაც ძალაში რჩება: განმკიცება დემოკრატიულ წყობილებისა. საამაყოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ რკინის გზელები სახელმწიფო აღმშენებლობით მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ და შემდეგშიაც პირველი ალაგი მას ეჭირება.

ყრილობის მუშაობის დასრულების შემდეგ გამგეობამ დააგზავნა რაიონების არჩევნების მოსაწყობათ და ინსტრუქციების მისაცემად ხაზებზე გამგეობის წევრები, რომლებმაც საუცხოვოთ ჩაატარეს არჩევნები და რაიონული გამგეობების მუშაობას ხელი შეუწყვეს.

რაიონული გამგეობები ყველგან თავის დროზე მოეწყო და შეუდგა მუშაობას. შემდეგ ცენტრალური გამგეობა დაიყო კომისიებათ. შედგა კომისიები, საგამომძიებლო, კულტურული, საექიმო-სასანიტარო, შრომის და სხვა დარგის კომისია.

აგრეთვე გაგზავნილ იქნა ამხანაგები სატარიფო პალატაში.

მთავარი ყურადღება იყო მიქცეული სატარიფო პალატისაკენ, სადაც ჩვენი წარმომადგენლები იცავდენ ჩვენ მთავარ გეზს და არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენი ეკონომიური მოთხოვნილებები გადაჭარბებული ყოფილიყოს. ის (კავშირი) სხვა კავშირებს კიდევაც აჩერებდა, რადგანაც ვიცოდით, რომ რკინის გზელთა მოთხოვნილებებს გადამწყვეტი ხმა ექნებოდა და ჩვენ ამით არ გვისარგებლია.

ჩვენ სატარიფო პალატაში ვადექით მმართველი პარტიის ხაზს და მისთვის არ გვიღალატია, რადგანაც ჩვენ ინტერესებს უფარდებდით წარმოების ინტერესებსაც.

სატარიფო პალატაში შევძელით ჩაგვეყენებია შრომის პირობები შედარებით ნორმალურ კალაპოტში.

პენსიონერების შესახებ ჩვენ გადავდგით შესაფერი ნაბიჯები.

პენსიონერები ღებულობდენ 200 მან. და უფრო ცოტას, ჩვენ ეს გავადიდეთ 100 პროცენტით.

არის დაარსებული სოციალური დაზღვევის საზოგადოება, რომლის სასარგებლოდ მთავრობამ გადადვა რამდენიმე მილიონი და ჩვენ ამ საზოგადოებას ხელი უნდა შევუწყოთ, რომ საშუალება მივცეთ ჩვენ პენსიონერებს და დავრდომილებს არსებობის. დისციპლინარულ სასამართლოში ჩვენ ვხვდებით ერთნაირ უხერხულობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ხშირად გვიხდება ადმინისტრატიული პირების საქმის გარჩევაც, რადგანაც ხშირად კავშირის წევრის დანაშაულობა გადახლართულია რომელიმე ადმინისტრატორის მოქმედებასთან.

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ უძრავ ქონების შეძენის საქმეს.

ვაწყობთ ბინებს მუშების საცხოვრებლად დიდუბეში. ბინების შეკეთება მალე თავდება და შემოდგომაზე ჩვენ შეგვეძლება იქ 50 მუშის ოჯახის მოთავსება. აღძრული გვაქვს შუამდგომლობა კავშირის საკუთრებათ იქნეს დამტკიცებული ყველა ის შენობები, რომლებშიაც რკინის გზის ბატალიონები იყო მოთავსებული.

შენობების შეძენას ვაპირებთ იმ ფულებით, რომელიც დაგვიტოვა ძველი გამგეობის ნაყიდ თუთუნის გაყიდვამ.

250 ფ. თუთუნი ჩვენ კონსტანტინეპოლში გავაგზავნეთ ქაღალდის შესაძენათ, მაგრამ ეს არ მოხერხდა და თუთუნი ფულზე გავყიდეთ.

აგრეთვე ნაწილი თუთუნის გვქონდა ფოთში, რომელმაც ხარჯებს გარეშე დაგვიტოვა 8 მილიონამდე.

ამაში არ შედის პროცენტები, რომლებიც მიეცა მოსამსახურეებს მუშაობის ჯილდოთ.

ჩვენ ვაპირობთ კარგი სტამბის შეძენას, რომ გამომცემლობა დავაყენოთ კარგ ნიადაგზე.

ჩვენ შევიმუშავეთ კანტორის მოხელეთა კატეგორია და წარვუდგინეთ შრომის სამინისტროს დასამტკიცებლად.

ჯერაც არ არის მათი მდგომარეობა სავსებით გამორკვეული და ჩვენ იმედი გვაქვს ამ საქმეს ჩვენდა სასარგებლოდ დავაგვირგვინებთ.

საექიმო-სასანიტარო საქმეებში საქმე მოიკოჭლებდა, მაგრამ ამ უკანასკნელად დავაყენეთ შესაფერ სიმაღლეზე და უნდა ითქვას ერობის და სახელმწიფო სამკურნალოებზე შედარებით ჩვენი სამკურნალო მაღლა დგას.

იყო ზოგიერთი მოინტრიგანო მოსამსახურე და ისინი ჩვენ სხვაგან გადვიყვანეთ.

ჩვენი უმთავრესი ნაკლი სტატისტიკის მოუწყობლობაა და ჩვენ ავირჩიეთ კომისია, რომელსაც მოლაპარაკება აქვს ცნობილ სტატისტიკოს მანდელშტამთან, რომლის დახმარებით გვექნება სტატისტიკა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

მწვავეთ იდგა საკითხი პურის შესახებ: ამერიკელები უარს გვეუბნებოდენ რემდენიმე თვის წინეთ ფქვილის მოცემაზე და ჩვენ მაშინვე გამოვიტანეთ შესაფერი რეზოლიუცია და გაუგზავნეთ საგარეო საქმეთა მინისტრს, სადაც კატეგორიულად მოვითხოვდით, რომ თუ ამერიკელები დაარღვევდენ ხელშეკრულებას პურის მოცემის შესახებ, ჩვენ გადამჭრელ ნაბიჯებს გადავდგამდით. ახლა, თუმცა გვაქვს პური, მაგრამ წისქვილი ვერ ასწრებს ხორბლის დაფქვას და ამიტომ რაიონებში ხშირად აკლდებათ პური, რაც აუტანელ მდგომარეობას იწვევს.

სამარხი კასა, რომელიც მეორე ყრილობის შემდეგ დაარსდა, მოქმედებს და გარდაცვალებულ წევრის ოჯახს, თანახმად წესდებისა—ყველას ვაძლევთ 5000 მან. ჯერ-ჯერობით დეფიციტი არ გვაქვს და ხარჯებსაც ასწორებს. შრომის ნაყოფიერების აწევასაც ვაქცევთ ყურადღებას.

ის პრემია, რომელიც მაზუთზე არის შემოღებული დაგვანახვა, რომ მოსამსახურეებსაც რჩებათ შემოსავალი და სახელმწიფოც სარგებლობს.

ჩვენ მივიღეთ არტელური სისტემა და შრომის ნორმიროვკა, მაგრამ ჯერ ადმინისტრაციის სისუსტით და ტეხნიკური დაბრკოლებითაც ვერ გავატარეთ, რასაც მუშებიც თხოულობენ, რადგანაც ის მცირე ჯამაგირი მათ არ აკმაყოფილებს.

დისციპლინის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კავშირის წევრები არ ემორჩილებოდენ კავშირის წესდებას და ხშირად არღვევდენ მას. ასეთი შემთხვევა იყო ხაშურში და მთავარ სახელოსნოში, სადაც ზოგიერთმა კავშირის წევრებმა იკისრეს მეთაურობა გაფიცვისა. ამიტომ ჩვენ ხაშურის დეპოში გავაძევეთ კავშირიდან ორი წევრი და მთავარ სახელოსნოდან კი 6 წევრი, რაც ნიშნავს ამავე დროს სამსახურიდანაც დათხოვას.

კომისიების მუშაობა ხშირად არ არის შეთანხმებული: პერიფერია რომ ერთს დაადგენს, ცენტრი მეორეს; საჭიროა ერთნაირი წესის შემოღება, რასაც ვაპირებთ ახლო მომავალში. ადერბეიჯანთან ომის გამო ჩვენ გავაძლიერეთ რკინის გზის დაცვა, დავაარსეთ თავდაცვის ბიუროები ყველა რაიონებში სამსამი კაცისაგან შემდგარი.

აგრეთვე ჩვენ საერთო გამოხმაურებას გვერდში ვუდექით და შეძლებისდაგვარათ შევგვქონდა ჩვენი წვლილი.

ასეთი იყო, მაგ. გვარდიის დღე, 26 მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება, ფრონტის დახმარება და სხ.

მოხსენების შემდეგ კონფერენცია ისმენს სამტრედიიდან მოსულ დეპეშას რომელიც მოითხოვს სასწრაფოთ გაგზავნილ იქნას პურის ფქვილი, თორემ მოსალოდნელია უპურობის ნიადაგზე ცუდი შედეგებიო. კონფერენციამ დადებითი გასცა პასუხი. ფქვილი უკვე გაგზავნილია. მეორე მოხსენებას აკეთებს კულტურულ-განმანათლებელი კომისიის თავმჯდომარე.

მოხსენებას ხვალ მოვათავსებთ.

(შემდეგი იქნება).

გალია ხკლიარი.

## ადერბეიჯან ს ფრონტი

(გვარდიის დღიურიდან)

სადახლოს სადგურიდან სამხედრო წესით გაემგზავრა გორი-კახეთის ბათალიონი. ვისადილეთ ყაჩაყანის თავზე და იმავე წესით შევუდექით გენერალ ჯიჯიხიას განკარგულებით, გორებზე გადავლას (შიხილის მიმართულებით).

ჩვენი ბათალიონის 1 და მ-2 გუნდმა მარცხენა ფრთა გააბეს, მეორე გუნდმა —მარჯვენა ფრთა, შუაზე მიდიოდენ გენერალი ჯიჯიხია, ზ. გურული და ჩვენი ბათალიონის უფროსი ბრუსეცკი, რომელთაც ორმა ცხენოსანმა მზვერავმა აცნობეს, რომ წინ ვილაცები სხედან ხევში და სროლა აგვიტეხესო. სიფრთხილე იყო საჭირო. მოვიდა მეორე გუნდის ოფიცერი, მე ვთხოვე გავეშვი წინ. მან ნება დამრთო. დავწინაურდი ორი ამხანაგით, შევამჩნიე ერთი უიარაღო თათარი კლდეში მჯდომი, რომელიც იქვე დავიჭირეთ. თათარი შეშინდა. შევეკითხე,—აქ რას აკეთებთქო. მან დამისახელა ვიღაც „კნიაზის“ სახელი და გვარი და თან მითხრა არ გადახვიდე, თორემ ბევრნი არიანო. მე იმას არ დაუჯერე და უთხარი ამხანაგებს გადაეცათ თათარი ბათალიონის ან გუნდის უფროსისათვის რომელიც, ის იყო, მთელი გუნდით დაგვეწივნენ კიდეც. მტერმა სროლა აგვიტეხა. მე ამხანაგ ნიკოლოზაპიშვილთან, ერთად ერთი „ზვოდით“ შევეცადეთ მივპაროდით მტერს. მაღალ მთაზედ შემოუარეთ. ჩვენ არ გვისროლია, მაგრამ შეგვნიშნეს, რომ ვეპარებოდით და გაიპარეს ტყე-ტყე-ჯაგნარზე, ჩვენ ძალიან დავიღალენით. ამხანაგები გორებზე გაჩერ-

დნენ, უფროსებს უცდიდენ. ჩვენ ვეღარ მოვითმინეთ, უყვიროდით ამხანაგებს' უფროსისთვის გადაეცათ რომ მტრის კვალს მივაგენით; როგორც ეტყობოდა მტერს სიმაგრეები დაეცალა. შევნიშნე გუნდის უფროსს მომავალი თავისი გუნდით უკანასკნელ გორაზე. დაბნელდა კიდეც. ნიკოლრაპიშვილი, ვარ., მელაშვილი და სხვა ამხანაგები დავტოვე და მე წავედი ბათალიონის უფროსთან. ისინი შორს უკან დარჩენ გორზე. ბრძანება არა მქონდა წინ წაწევისა და ამის სათხოვნელათ გავეშურე უფროსისაკენ. ნება დაგვრთეს უკანასკნელ გორაზე გვედარაჯა. ღამე ძალზე ბნელოდა, სწვიმდა. წამების ღამე იყო. ჩვენი ყურადღება შიხილოზე იყო მიპყრობილი. შუაღამემდი დიდი ცეცხლი ენთო ეზოში, სახლებიდან სინათლე გამოდიოდა. ეტყობოდა, რაღაც მზადებაში იყვნენ. ღამის ორი საათი იქნებოდა დააბნელეს სახლები. ამხანაგი ნიკა ძალიანი შეწუხდა მეტის მოქანცულობით. შემომჩივლა, ცოტა ხანს დავწვებიო მაგრამ ისეთი წყლები იდგა, რომ დაწოლას ფეხზე დგომა სჯობდა. მაინც დაწვა, მაგრამ ავაყენე,—დავპირდი ხვალ დაგაძინებ მეთქი.

გათენდა დილა. ბურუსი ჩამოაწვა—გამოვიდნენ ამხანაგებიც. დილა ბინდში სროლა ასყდა. ჩვენს დაბლა ახლო ვეღარც კი ვარჩევთ, სად როგორი მდებარეობა არის, მაგრამ ბრძანებისამებრ თანახმათ მივდივართ ძირს. თანდათან სროლა მატულობს, ჩვენც ჩავრბივართ ხაზ-გაშლით,—ჩავედით ძირს. სამხედრო წესით გავიშალენით. მივადექით ორიოდე ვერსზე ბრძოლის ველს. ვუცქერით და ჩვენები და მტერი ვერ გაგვირჩევია. ყოყმანში ვართ, განსაცდელი მოგველის ზოგნი გვიახლოვდებიან, ზოგნი იერიშით იწვევენ ერთი მეორეზე,—საჭიროა შეტყობა რომელია მტერი და რომელი ჩვენი ჯარი. უფროსმა გააქცია ცხენით ერთი გვარდიელი იქეთ, სადაც ჩვენები ეგულებოდა. შიკრიკი უკან მოვარდა და მოახსენა, მესვრიან, ვერ გავიგე ვერაფერიო. ხალხი სულგანაბული ელოდებოდა რაიმე განკარგულებას.

მე უფროსისგან ველოდებოდი ბრძანებას მაგრამ, ალბათ, საქმეში ერკვეოდნენ, მივედი და ვსთხოვე ამხ. ზ. გურულს,—დამითმეთ თქვენი ცხენი და მე წავალ გასაგებათ, თუ რომელია ჩვენი ჯარი ან მტრისა-თქო. ცხენი მარჯვეთ ექირათ. შევაჯექ და შორიდგან წამოუარე ერთ-ერთ ბრძოლაში გართობილ ჯარს. ტყვიებს ზუზუნი გაჰქონდა ირგვლივ რამდენათაც შეიძლებოდა, ცხენს მივაჭენებდი მიუახლოვდი. ზურგიდან ორი ცხენოსანი მომექცა. ესენი ჩვენები იყვნენ. მათ ზურგში ვიღაცებმა ისროლეს, შეცდომა გამოდგა ჩვენებისა. მათ ჩემზე იფიქრეს, მე იმათზე,—მაგრამ სულ სხვა ყოფილიყო—ვკითხე მათ წინ ვისი ჯარიათქო? მიპასუხეს ჩვენიაო. გაღმიდან კი მტრისაო. მე გარე-კახელი გახლავართ და მინდა გამეგო ჩვენი შესაერთებელი ხაზი. მოვაქანებ ცხენს, თან ვათვალიერებ გაღმა - გამოღმა ბრძოლის შედეგსო; გაღმა გროვდება მტრის ჯარები. ჩვენები ძალას ატანენ. ვეახელი უფროსებს—ხელით ვაჩვენებ საით არის ჩვენი ჯარი. ჩამოვხტი ცხენიდან. განკარგულებაა ბათალიონის უფროსისაგან მეორე გუნდი საჩქაროთ გაღმა მთა დაიჭიროსო. დავეშვი. მომდევენ შორიახლოს ამხანაგები. აგვიტეხეს სროლა გაღმიდან მტრებმა ტყვიისმრქვეველებიდან. ჩვენი გუნდიდან უპასუხებენ. ორი-სამი ამხანაგი წაიქცა ჩემს უკან; დანარჩენები მომდევენ. რა მოუვიდათ არ ვკითხულობ—ორმოცამდე კაცმა მოვასწარით გაღმა გასვლა. ქვემოთ გახურებული ბრძოლა არის ჩვენებსა და მტერს შორის. ჩვენც გავმაგრდით და დავიწყეთ სროლა, ჩვენ გამოგვეშველენ ჩვენი ბათალიონიდან 1 და 3 გუნდის ამხანაგებიც. ახლა მკაცრი ხასიათი მიიღო ბრძოლამ. ნაწილი დაგვრჩა აქეთ, რომლებიც თავს ვეღარა ჰყოფენ მაღლა,—პატარა გორას აფარიან. თითოს 400 პატრონამდე გვქონდა: მაგრამ აგერ აგერ ას-ასი პატრონა ძლივსღა გვქნება, მით უმეტეს წინა ხაზზე ჩვენი გუნდის აფიცერი კევლიშვილი, ბათალიონის ადიუტანტ-აფიცერი გობრონიძე და 16-ოდე გვარდიელი მოვემწყვდიეთ ცუდ ადგილას: გამოპარვა შეიძლებოდა, მაგრამ ეს სირცხვილი იყო და მასთან ღალატი. ჩვენს თავზედ მტერი ორმოცი ნაბიჯით იდგა, ტყვიის მფრქვეველით ეპარებოდა ჩვენს ზემოთაც მდგომ გუნდს ჩვენი გზით. გადავწყვიტეთ ავსულიყავით და იერიში მივეტანა მტერზე (თუმცა კარგათ ვიცოდით, რომ ისინი ბევრი იყვნენ). ავცოცდით გორაზე და დავიძახეთ—ურა, უ-რ-ა-ა-ა! აკი განგებამ გვიშველა და გაიქცნენ ერთი გაქცევა, ვიდრე შეიტყობდენ, რომ ჩვენ ცოტანი ვართ. შემდეგ მოგვიბრუნდნენ და დაგვინთეს ცეცხლი. ჩვენ იძულებული გავხდით უკან დავვეხია სროლით. დაგვიჭრეს ერთი მძიმეთ ფეხში. ორ ამხანაგმა დაჭრილი გამოიტანა. ჩვენ სროლა განვაგრძეთ, მაგრამ პატრონა ცოტაღა გვაქვს. ამხანაგები აღარ მომდევენ მაღლა ასასვლელათ. გავიქეცი ზემოთ ორი ამხანაგით. სადაც დაასვენეს ამხანაგი ყიფიანი. ერთი კი ვაკოცე და უთხარი: ნუ ეწყინება, რომ მე მასთან არ ვრჩები. უნდა მივეშველო ამხანაგებს; მან მითხრა არა მიშავს რა, შენ მიეშველე. მივრბივარ ამხანაგებთან. გზაზე შემხვდნენ ამხანაგები. მოაქვთ გარეჯულ მოკლული გვირდიელი გეჯაძე, მოყავთ მძიმეთ დაჭრილი მე-8 გუნდის აფიცერი ბერიძე. ახლა ის ვანუგეში, რომელიც თავში იყო მძიმეთ დაჭრილი და იმედი სიცოცხლისა მასში აღარ იყო. ცოტა არ იყოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდი, მაგრამ გაჩერება არ შეიძლება, აგერ ერთ ჩვენ გვარდიელს იაკობ ჰარუნაშვილს დაუთრევია ერთი ყუთი პატრონა და მიაქვს. გამეხარდა. გავტეხე ყუთი, ცოტა ჩემთვის ამოვიღე და ზოგიც ამხანაგებს გაუგზავნე. ავირბინე ორი ამხანაგით გორაზე, სადაც ჩვენებსა გვანდნენ. ესენი აღმოჩნდნენ თფილ. ბათ. ტრამვაიელები, შევეხვეწე—პატრონა მოეცათ. მეტი რა გზა ჰქონდათ, მომცეს. გავატანე ამ ორ ამხანაგს, მე კი ჩაუჯექ ერთ ჯაგს და გაუდე თოფის ლულა ნიშანში გაღმა გორაზე. დაუწყე სროლა, რაც დამიშალა ტრამვაიელ ამხანაგებმა: ნუ ესვრი მოგვაგნობენ და პატრონას გაუფრთხილდიო. ნაწყენმა სამი პატრონაც მქონდა თოფში და დინჯათ ამოვიღე მიზანში. გავარდა თოფი, თუ არა იქ მდგომმა ჩვენი ბათალიონის „პულემეტჩიკმა“ (ბერდიანელმა) დაიძახა, შენი ჭირიმე, გადიქცა კაცი და აგერ-აგერ ვიღაც აყენებს, გავარდა მეორე და კიდევ დაიძახა გაკვირვებულმა ამხანაგმა: ისიც ზედ წაიქცაო. მოვარდა ორი სხვა ამხანაგი და გახარებულები იძახიან: რა კარგათ მოხვდა ზედი-ზედო. სწორეთ ზედ დაერთო ზარბაზნის სროლა მაღლობიდან, რომელმაც ამოშალა მტერი თხრილებიდან და გორიდან. ამერ-იმერეთის მე-3 ზესტაფონის ბათალიონიც გამოჩნდა ტყვიისმფრქვეველით, რომელმაც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა. ხალხი თანდათან გამხნევდა, მოჰყვა „ურას“ ძახილი, მტერი აიშალა, ქვევიდან დაუშინეს მტერს სხვადასხვა ბათალიონებმა, ზევიდან გარეკახეთის ბათალიონმა. ტრამვაიელებს მიემატა ზესტაფონის ბათალიონი. შედეგი ამისა იყო მტრის გაქცევა. ვნახეთ დახოცილები, სადაც ნახევარი რუსები აღმოჩნდნენ. ვხედავდი როგორ გარბოდა მარჯვნივ გზა-გზა მტრის კავალერია და მარცხნივ ქვეითი ჯარი. ჩვენ დაგვასვენეს და მოვიკითხეთ ამხანაგები. ყველა თავის მახლობელს კითხულობდა. დაჭრილებზე იმდენათ არ ვწუხდით, მაგრამ დამამწუხრა ამხანაგ ნიკა კორაპიშვილის დაკარგვამ, რაც ეხლა შევიტყე ამხანაგებში. მე იმას დავპირდი წვიმიან ღამეში, ხვალ დაგასვენებ ამხანაგო ნიკა-მეთქი. იგი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდაო. მომაგონდა იმისი ერთგული გვარდიელობა, რომელიც ყველა ფრონტებზე იღებდა მონაწილეობას (მიუხედავათ იმისა, რომ ძველ რეჟიმშიაც ომებში იღებდა მონაწილეობას) მსხვერპლი შედარებით ჩვენს ბათალიონს ცოტა მოუვიდა: პირველ ომში მოგვიკლეს ორი, სასიკვდილოთ დაგვიჭრეს ორი და ოთხიც მსუბუქათ.

ვანო მაისურაძე.

(შემდეგი იქნება)

## კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

**ფოთის სანაპირო რაზმი.** 22 ივნისს მე-2 ფოთის სანაპირო რაზმს ეწვია ინსტრუქტორი კაპ. ალ. გორგაძე. მან ინახულა რაზმის წიგნთ-საცავ სამკითხველო, რითაც კმაყოფილი დარჩა. სამკითხველოს ჯერ-ჯერობით ბევრი რამ აკლია. მაგრამ ჟურნალ-გაზეთებს იქ ყოველთვის ნახავთ; ჯარისკაცებიც ხალისით კითხულობენ. არის წიგნები და პატარ-პატარა წიგნაკებიც, მაგრამ ეს საკმაო არ არის: თითქმის ყველანი გადაკითხულია ჯარისკაცებს მიერ. წიგნთსაცავ - სამკითხველოთი სარგებლობს არა მარტო სანაპირო რაზმის ჯარისკაცები, არამედ მთელი გარნიზონის სამხედრო პირებიც. სამკითხველოს დათვალიერების შემდეგ ბატონ ინსტრუქტორმა წაიკითხა ლექცია, რითაც ჯარისკაცები კმაყოფილნი დარჩენ. ოცდაოთხ ივნისს ინსტრუქტორმა წაიკითხა მეორე ლექცია. თფილისში წასვლისას ინსტრუქტორი შეგვპირდა ჟურნალ-გაზეთებს და წიგნაკების გამოგზავნას. შეგვპირდა აგრეთვე თახხა ბიბლიოთეკის ფონდის გასაძლიერებლათ.

ვთხოვთ საქართველოს ჯარების კულტურულ-განმანათლებელ სექციას დაჩქარებით მოგვაწოდოს აღნიშნული წიგნები და თანხა.

ჯარისკაცები: **დათიკო ვაჩეიშვილი, ალექსანდრე კვაჭანტირაძე.**

**სანაპირო ჯარი.** სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანებით მე გავემგზავრე № სანაპირო რაზმში იმ მიზნით, რათა გამომერკვია, თუ როგორ სწარმოებდა იქ კულტურული მუშაობა.

პირველად ვინახულე სანაპირო ჯარების სამკითხველო და სკოლა ფოთში. სამკითხველო საუცხოვოთ არის მოწყობილი, მის კედლებს ამშვენებს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეთა და მწერალთა სურათები. ვნახე, მაგიდაზე მჭრივათ შემომსხდარიყვნენ ჯარისკაცები და ჟურნალ გაზეთებს კითხულობდენ. სამკითხველოს გვერდით არის ჯარისკაცთა სკოლა, სადაც სისტემატიურად სწარმოებს ნაყოფიერი მეცადინეობა. აღსანიშნავია რომ ჯარისკაცები დიდის სიმპატიით ეკიდებიან ასეთ საქმეს და ძალზე კმაყოფილნი არიან, რომ მთავრობამ მათ ყურადღება მიაქცია ამ მხრივ. სხვათა შორის, სკოლაში მოსიარულე ერთმა ჯარისკაცმა განაცხადა: მამა ჩემს სწყინდა ჩემი ჯარისკაცად წასვლა, მაგრამ როდესაც გაიგო მე აქ წერა-კითხვაც მასწავლიან, ძალზე გაეხარდა და წერილიც მომწერა, სადაც ამბობს, რამდენი ხანიც უნდა იყოს,—ერთგულად იმსახურეო. სკოლის დათვალიერების შემდეგ, ფოთის გარნიზონში მდგომ სანაპირო ჯარისკაცებში გავმართე საუბარი საქართველოს თანამედროვე მდგომარეობისა და ჩვენი საზღვრების შესახებ. საუბარს ჯარისკაცები ბლომად დაესწრენ, ჯარისკაცები განსაკუთრებით ბათუმის საკითხმა დააინტერესა.

ამის შემდეგ 22 და 23 ივნისს მე გავემგზავრე საზღვრებზე, რომელსაც № სანაპირო რაზმის ჯარისკაცები იცავენ. ყველგან, სადაც მივდიოდი, ვურიგებდი წიგნაკებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხვა... იმავე დროს ყველგან საუბარს ვმართავდი.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სადარაჯოებზე სწარმოებდა ჯარისკაცების წერა-კითხვის სწავლება, რაც რასაკვირველია, უნდა მიეწეროს სანაპირო ჯარების უფროსების საქმისადმი სიყვარულს. ჟურნალ-გაზეთებსაც ღებულობენ, თუმცა, რასაკვირველია, დაგვიანებით. ყველა ნახულ სადარაჯოებზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია წმ. ნიკოლოზის ბინამ. ადამიანს პირველ ნახვისას გაუკვირდება, როგორ უნდა ცხოვრებდეს აქ ადამიანი; მაგრამ როდესაც ბინას დაათვალიერებ, გაოცდები, რადგანაც აქ მდგომი ჯარისკაცების თავის აფიცერთან ერთად დაუღალავი შრომით ისე საუცხოვოთ მოურთავთ ბინა და იმის გარშემო გაუშენებიათ შესანიშნავი ბოსტანი, რომ თითქმის ოჯახურ ცხოვრებას მოგაგონებთ მნახველს. ჰყავთ ცხენები, კამეჩები და ეწევიან ერთგულ შრომას. აქ კულტურულ განმანათლებელი სუშაობაც არის გაჩაღებული.

ვინახულე ჩო—ქის და ნა—ბის სადარაჯოებიც, აქაც საუბარი გავმართე და ჟურნალ წიგნაკები დაურიგე მოსაზღვრე ჯარისკაცებს. ეტყობა ყველგან, სადაც კი ვიყავი საზღვრებზე ჯარისკაცები აღფრთოვანებით ეწევიან კულტურულ მუშაობას, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა საზღვარზე მდგომ ჯარისკაცებისათვის აქვს. სანაპირო ჯარების უფროსის ბრძანებით, როგორც ჩემს მიერ ნახულ № სანაპირო რაზმში, აგრეთვე სხვა რაზმებშიაც უნდა მოეწყოს ყველა სადარაჯოებზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. სანაპირო ჯარებს ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება ამ მხრივ და კულტურულმა სექციამაც მას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ინსტრუქტორი **ალ. გორგაძე.**

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 25 ივნისს, თფილისის რკინის გზის კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგა თფილისის რკინის გზის რაიონის სოც.-დ. პარტიის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა საქ. სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ ამხ. ილარიონ გიორგაძემ. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ყველა იმ მთავარ კითხვებს, რაც გადაიჭრა მეორე ყრილობაზე. კრება დიდის ყურადღებით უსმენდა მომხსენებელს. იყო შეკითხვები, რაზედაც შესაფერი პასუხი გასცა მომხსენებელმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო ამხ. ნ. ჯიბლაძის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის რკინის გზის რაიონულ ქვეკოლექტივის წევრების საზოგადო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის მეორე ყრილობის დელეგატ ამხ. ი. გიორგაძისა ყრილობის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს ყრილობის მუშაობის დიდ ნაყოფიერებას. იწონებს ყრილობის მიერ გამოტანილ ყველა გადაწყვეტილებებს და ფიცსა სდებს საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიისა და დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე, რომ მას დაიცავს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და ყოველივე თავის ძალ-ღონით ხელს შეუწყობს დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. დასასრულ კრება სალამს უძღვნის ხალხის უზენაეს ნება სურვილის გამომხატველს დამფუძნებელ კრებას, დემოკრატიულ მთავრობას და ცენტრალურ კომიტეტს, რომლებმაც სრულიად გაამართლეს ხალხის ნდობა; უსურვებს ახლად არჩეულ ცენტრალურ კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობას.

**ხაშა ჩიგოგიძე.**

## მუშათა შორის

**თფილისი.** ამ დღეებში შესდგა საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე კასის სარევიზიო კომისიის და გამგეობის შეერთებული კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ხურიძე. კასის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხურიძემ.

განსახილველი იყო კიდევ შემდეგი საკითხები: 1) წესდების მე-3 მუხლის გატარება, 2) გადიდება საწევრო გადასახადისა, 3) კასის მუშაობის გამოცოცხლება, 4) ტეხნიკური საკითხები, 5) წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა, 6) კასის შეძენა, 7) არჩევნები.

პირველ კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: წესდების მე-3 მუხლი უცვლელად იქნას გატარებული. კასის მუშაობის გამოცოცხლების შესახებ, — დაევალა გამგეობას აწარმოოს ანგარიშები გამგეობის დირექტივების თანახმათ. საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეთა ურთიერთ შორის დამხმარე-გამსესხებელი კასას ეწოდა „თფ. საქონლ. სადგურის მუშა-მოსამსახურეების ურთიერთ შორის შემნახველ გამსესხებელი კასა“. შემდეგ დაევალა გამგეობას მიიღოს ზომები რათა შეძენილ იქნას კასა, აგრეთვე საჭიროთ იცნეს ბეჭედის ყიდვა. შემდეგ თავმჯდომარეთ არჩეული იქნა კაპიტონ ქლენტი. ვინაიდან დიდი შრომა და ენერგია აქვს დახარჯული ამხ. ვ. ხურიძეს,—კრება მას ერთხმათ ირჩევს საპატიო თავმჯდომარეთ. ბუჰალტერათ იქნა არჩეული ამხ. ვ. ხურიძე, მოლარეთ გიორგი ღლონტი, მდივნათ თადეოზ არიზიანი.

**ქრისტინეშვილი.**

**თფილისის არტილერიის საწყობი.** თფილისის არტილერიის საწყობში მუშაობს და მსახურობს დაახლოვებით 153 კაცი. მუშები და მოსამსახურენი შეკავშირებულნი არიან თფილისის განახლებულ ლითონზედ მომუშავეთა კავშირში. ადგილობრივ არის საქარხნო კომიტეტი ხუთი პირისაგან შემდგარი. კომიტეტი თავის სიმაღლეზე სდგას. ბოლო დროს 3000 მ. ერთდროული დახმარების შესახებ საქარხნო კომიტეტის წევრებს მოუხდა სამინისტროებში სიარული, რათა გამოერკვია, ვის ერგებოდა დახმარება და ვის არა. ბოლოს მოგვივიდა ინსტრუქცია, საიდანაც სჩანდა,—ვის უნდა მიეღო. მუშებს გული დასწყვიტა იმ გადაწყვეტილებამ, რომ ზოგი სამას თუმანს მიიღებდა და ზოგიც ნაკლებს, გამოსთქვამდნენ აზრს, რომ სამართლიანი იქნებოდა ყველას ერთნაირად მიგვეღო დახმარება და ასეთი განსხვავება არა ყოფილიყო. მაინც ზემოთ აღნიშნულ ინსტრუქციის ძალით 153 მუშაში 8 მუშა დარჩა მიუღებელი. ამის შესახებ ადგილობრივმა საქარხნო კომიტეტმა მოწინავე პირებთან ერთად იმსჯელა და დაადგა შემდეგ დასკვნას: მიმართოს ამხანაგ მუშებს, რათა მათ გაიღონ ამ 8 კაცის სასარგებლოდ: იმათ ვინც სამასი თუმანი მიიღეს—შვიდ-შვიდი თუმანი, ხოლო ვინც ორას ორმოცი—ხუთ-ხუთი თუმანი. მართლაც მოხდა საზოგადო კრება და დაადასტურა მოწინავე ამხანაგების გადაწყვეტილება. ყველამ გაიღო თავისი წვლილი და ას-ასი თუმნით დაეხმარა თავის დახმარება—მიუღებელ 8 ამხანაგ მუშას. თავის მხრივ საქარხნო კომიტეტი მადლობას უცხადებს ყველა ამხანაგ მუშებს, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამ კეთილ საქმეში.

**საქარხნო კომიტეტი.**

## პროვინცია

**სენაკის მაზრა.** სენაკის სამაზრო ერობა ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე უხუცესია. მან მოქმედება ყველას დაასწრო და მის (ერობის) სასახელოდ უნდა ვსთქვა, რომ კვალიც დაამჩნია. ხალხის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. ხალხში მას დიდი პრესტიჟი აქვს; ცხადია, ერობამ ეს შესძლო თავის საქმიანობით. გზები, ხიდები, საავათმყოფოები სახალხო და სამეურნეო სკოლები, სამრეწველო დარგები, სამეურნეო დახმარება,—აი რა იყო ერობის შემხმტკბილებული გამგეობის სამოქმედო გეგმა და როცა ხალხმა ერობის მოღვაწეობის შედეგი იგემა, ერობაც გაუტკბა და მის მესვეურებსაც პატივისცემით ცქერა დაუწყო.

იშვიათად გაიგონებ ისეთ ქართულ ზღაპარს, რომელიც ის მთავარი გმირის შესახებ არ იყოს ნათქვამი: „ვინც წლით იზრდებოდა, ის დღით იზრდებოდაო“. როცა ჩვენ ცხოვრებას ვაკვირდებით ძველს მოვიგონებ და ახალს ვადარებ, —ყოველთვის ეს ჩვენებური ზღაპარი მომაგონდება—მართლაც რომ ამ ზღაპრული გმირივით ვიზრდებით, მიუხედავათ ათასგვარი დაბრკოლებისა, მიუხედავათ შინაურ და გარეშე მტრების იერიშებისა ქართველი ყრმა ერი კულტურულად იზრდება, ვაჟკაცდება. ასეა სენაკის მაზრაც. ორი წლის წინათ თუ სენაკის მაზრის ზოგიერთ სოფლებს ბათუმის დაკარგვა, შინაური ნგრევა, დეზერტირობა, ქურდობა და სხვაგვარი გარეწობა სასახელოთ მიაჩნდა, დღეს წარსულს სირცხვილით ვიგონებს, დღეს ისიც ჩაება რესპუბლიკისა და თავის ოჯახის აშენება დაცვის საქმეში და მოქალაქის ამ წმინდა ვალს პირნათლად იხდის. „კომუნისტ“ ადერბეიჯანთან ომში პირველი გმირული სისხლი სამეგრელოს გვარდიამ დაანთხია. ამ ომის ზვარაკი ხუბუტია და გუგუშვილი სენაკმა მეფური პატივისცემით დაასაფლავა საგანგებოთ მოწყობილ საძმო სასაფლაოზე. პირველი მაისი, 26 მაისი მთელ მაზრაში დიდებულად იდღესასწაულეს. თვით ის მოზრდილი სოფლები და დაბები, რომლებიც წინათ ბალშევიკ-დეზერტირობით ·ქებულნი იყვნენ 26 მაისს ვერ იცნობდით. ეს დღე მართლაც რომ ყველას საზეიმო დღეთ გადაიქცა, მობილიზაციას არავინ არ გაქცევია. არ ყოფილა მაგალითი რომ ვინმეს ექიმისათვის ან სხვისი პროტექციისთვის მიემართოს და ცდილიყოს ჯარიდან თავის დაღწევას, პირიქით ახალგაზრდები გაურბოდენ ექიმის შემოწმებას.—კარგა ვართ, გვიხარია წასვლა და მიგვიღეთო,—იხვეწებოდენ, სიტყვა დეზერტირობა მოისპო, ისიც კი ცხადდებოდა, ვისაც ირ იწვევდენ.. დათირობა, აურზაური, დებ—ში ერთიც არ მომხდარა, ჯარისკაცები მოქალაქეობრივი გრძნობით აღტყინებულნი, დინჯათ, მწყობრი სიმღერით ფრონტისაკენ მიეშურებოდენ. მადლიერი ხალხიც მათ ყანებს იმუშავებს, მათთვის საჩუქრებს აგროვებს და უგზავნის.

მიუხედავათ იმისა, რომ წელს სენაკის მაზრა დამშეულია, ქურდობა, თავდაცემა თანდათან ისპობა და იშვიათი მოვლენა ხდება. ქურდობის აღმოფხვრას ყველა თემი ენერგიულად შეუდგა და თუ სოფლად რაიმე დაიკარგა, ქურდების ორგანიზაცია ვალდებულია ან ზღას ან ქურდი აღმოაჩინოს. ქურდებისა და მათი ხელის შემწყობთა სია კი ყველა თემს აქვს ფარული კენჭის ყრით შედგენილი.

მუშაობას, მეურნეობის გაუმჯობესებასაც ძლიერ ეტანებიან. სოფლად ბევრ ადგილას შეხვდები უკვე შემოსულ პურს, ქერს. ხშირია აგრეთვე უკვე ყაველ ამოღებული (ჩახაშრული) სიმინდი, აქა იქ უთესიათ: ბამბა, სელი (ლერწამი) კანაფი, სოია და სხვა.

ძლიერ ბევრია მოშენებული აკაცია, რაც ძლიერ ხელს უწყობს მეფუტკრეობის აღორძინებას, რომელსაც დიდის ხალისით ეკიდებიან.

ფრიად მოსაწონი და მისაბაძი საქმე დაიწყეს ზოგიერთმა სოფლებმა, ეს არის კოოპერატიული წისქვილების აგება. ზოგმა სოფელმა მოაწყო სრულიად ახალი წისქვილები. ზოგმა კი შეიძინეს უკვე აგებული და უფრო შეაკეთა გააფართოვეს. ასეთ წისქვილებში ცხადია ჩვეულებრივი ქურდობა და ზედმეტი მინდის აღება არ არის. მინდის შემოსავალი კი ხმარდება მთელი სოფლის საერთო საჭიროებას. მაგალითად ს. გეჯეთმა სანიტარულ გადასახადი კოოპერატიული წისქვილის მინდით გადაიხადა.

მთელ სენაკის მაზრაში ს.-დემოკრატების ძლიერი გავლენაა, ერობისა და თემების გამგეობის უმეტესობა ამ პარტიის მიმდევრებია. პარტიული მუშაობაც გაცხოველებულია, მეტადრე ბალშევიკების ლეგალიზაციის შემდეგ. ორიოდე სიტყვა აქაურ ბალშევიკ-კომუნისტების შესახებაც. ლეგალიზაციამდე ბევრი მათგანი ფიცულობდა, რომ მათ არაფერი საერთო არა აქვთ ბალშევიკებთან, გამოცხადდა თუ არა თავისუფლება, ესენიც დაირაზმენ, გახსნეს ბევრ ადგილას ბიუროები და შეუდგენ რეგისტრაციას. მათი ლოზუნგია: ვისაც მუქთად მიწა გინდა,—ჩვენს პარტიაში ჩაეწერეთო. რეგისტრაციამ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო... მათ ბიუროში შემხვდარე ხალხი ამბობს: რაც საეჭვო პირებია, ყველას ერთად მოუყრია თავიო. მათ კომუნისტურ-რევოლიუციონურ პარტიას ამშვენებს მონარქისტ-კონტრ-რევოლიუციონერები, პრისტავის მწერლები და დეზერტირ-ქურდები—დაგვილოცნია, არავინ ეცილება.

გაზაფხულის გამუდმებულმა გვალვამ შეუგნებელი ხალხი დააფიქრა, ამით ისარგებლეს ბნელეთის მოციქულებმა, უმთავრესად ტაბლა-საკურთხის მოყვარულმა მღვდლებმა და ხალხის შესაშინებლად გაავრცელეს მოწოდებები, შემდეგი შინაარსის:

წერილი ხვთისა!

„მე ვარ ანგელოზი მიხეილი კონვერტიხი, რომელიც ქალაქ ციდან ჩამოვარდნილი, რომელიც თავის თავად ცა გაიხსნა მოისმა მოისმა ხმა. მე ვარ ხვთისა იოსების ბრძანება ქრისტესი ნებით მორწმუნეთა, თქვენში ცოდვა მოხშირდა მის თავს დავსჯით შიმშილით და ავათმყოფობით გავგზავნით შავსა ყორნებსა რომელიც თქვენ შეგჭამენ ეს არ ირწმუნა ერთმა კაცმა და მოუკვდა საყვარელი შვილი. ეს წერილი გადასწერეთ თქვენ და ან გადააწერიეთ სხვას დღეში სამჯერ და დაარიგეთ ნაცნობებსა და ნათესავებში და მეცხრე დღეს სიზმარში ნახავთ ყველაფერს“.

ხალხის შეგნებულ ნაწილს სასაცილოდ არ ყოფნის ასეთი მოწოდებები და ამის შესახებ მრავალ მოხდენილ ოხუნჯობას გაიგონებთ.

ჩე-კოჩი.

## წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესათ გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ საქართველოს ერობათა კომიტეტს, რომელმაც მიმდინარე წლის 10 მაისიდან მოაწყო სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სანიტარულ ინსტიტუტში შვიდკვირული საბაქტერიოლოგიო-სანიტარულ-ჰიგიენური კურსები სამაზრო ერობათა ექიმებისა აფთიაქში მომუშავეთათვის.

ამასთანავე დიდ მადლობას ვუძღვნით სანიტარულ ინსტიტუტის დირექტორს —პროფ. ამირაჯიბს თავის თანამშრომლებითურთ, რომლებმაც თავიანთი შრომა და გამოცდილება არ დაზოგეს, რათა სათანადო მეცნიერულათ ყოფილიყო მოწყობილი ზემოხსენებული კურსები.

დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე თფილისის მაზრის ერობის გამგეობაც, რომელმაც თავის მხრივ, რამდენათაც შეიძლებოდა, დახმარება აღმოუჩინა კურსების მსმენელებს ბინით, სასადილოთი და მიმოსვლის გაადვილებით.

ამხანაგების მონდობილობით

ექიმები **აბულაძე და ჯაჯანიძე.**

ყოფილ სემინარიის შენობაში არსებული სააღმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო ბინის გამგეობა თავის ღრმეს მადლობას უცხადებს გაზ. „ერთობის“, „ბორბის“ „კომუნისტის“ და ჟურნალების: „თეატრი და ცხოვრების“ და „მუშათა ცხოვრების“ რედაქციებს, რომლებმაც უფასოთ დაუთმეს ამავე ბინაზე არსებულ სტუდენტთა სამკითხველოს გაზეთები და ჟურნალები და აგრეთვე იმ პირთ რომლებმაც თავისი წვლილი გაიღეს მის სასარგებლოდ. შემოწირულების სახით სულ შემოვიდა 1230 მან. *)

გამგეობა.

## ცნობები

გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: „კავკავიდან გამოქცევის დროს, როდესაც იქ ბალშევიკები შემოვიდენ, დასცილდენ ერთი მეორეს დედა-შვილი—თამარა და ვანო ხახანაშვილები. ამ ქამათ ვანო ხახანაშვილი, 12 წლისა, იმყოფება ქ. თფილისში, სამხედრო სასწავლებელში ზემდეგ მიშა აბულაძესთან (პლეხანოვის პრ., № 148) ვსთხოვთ, ვინც კი იცის, აცნობოს დედა მისს—თამარას აღნიშნული მისამართი, სადაც მისი შვილი იმყოფება. სამხ. სასწ. მეარე გუნდის ზემდეგი **მიშა აბულაძე**“.

*) უადგილობის გამო შემომწირველთა სიას ვერ ვბეჭდავთ. რედ.


## განცხადებანი

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და სალ 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

## სალეწი

ოთხ ძალიანი „ელვორტი“, სანიავებელი და ცხენის მორთულობა იყიდება ტეხნიკურ კანტორაში „კატიტოვ...“ რუსთაველის პრ. 27. (2107 3—2)

## იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი

ზინგერის სისტემისა.

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

დოქტორი

**გ. გ. მებრაგიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. სალ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **ივ. გოკიელია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი

გენრიხ ისაიას ძე **პოლოხი**

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს სალ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი

**ბ. ი. ოქროპირიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი

**ნ. ლ. ცურიაშვილი**

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და სალ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი

სოლომონ ისაიას ძე **პოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი

**ნ. მ. გაჩეჩილაძე**

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.